პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 სექტემბერი
სამშაბათი
1974
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 224 (16045)

ეროვნული ბიბლიოთეკა

355.000 ტონა ყურძნისათვის!

სწრაფად, უდანაკარგოდ დავამთავროთ რთველი

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის" გარდამავალ დროშას

მოკრეფილია 21.000 ტონა

გურჯაანი. რაიონის მევენახეები სტიქიურ მოვლენებს არ უშინდებიან, ენერგიის დაუზოგავად შრომობენ, მოწინავეთა გამოცდილებასა და მეცნიერების მიღწევებს უნარიანად იყენებენ. ამიტომ არის, რომ მათი ზვრებიდან, რამდენჯერმე დასეტყვის მიუხედავად, მაინც გეგმით გათვალისწინებულზე მეტ მოსავალს იღებენ.

სწრაფად, უდანაკარგოდ დავამთავროთ რთველი, სახელმწიფოს მივყიდოთ 60.000 ტონა ყურძენი! — აი მათი ყოველდღიური საზრუნავი. რთველი წარმატებით მიმდინარეობს საზოგადოებრივ მეურნეობებში, საკარმიდამო ვენახებში. უკვე მოკრეფილი და გადამუშავებულია 21.000 ტონამდე ყურძენი. აქედან 1.290 ტონა საკარმიდამო ვენახებში მოიკრიფა და ჩაბარდა მარნებს.

ჩუმლაყის კოლმეურნეობის ზვრებში ყოველდღე 500-600 ტონა ყურძენს კრეფენ. აქ უკვე მოკრეფილი და სახელმწიფო მარანში მიტანილია 3.620 ტონა ყურძენი. კარდანახის საბჭოთა მეურნეობაში მოკრეფილია 2.160 ტონა, მუკუზნისაში — 2.000 ტონა, გურჯაანისაში — 1.780 ტონა, ველისციხის კოლმეურნეობაში — 1.840 ტონა, ვაზისუბნისაში — 1.353 ტონა, ჭანდრისაში — 1.135 ტონა. გურჯაანის, კარდანახისა და რაიონის სხვა ქარხნებში ყურძენს შეუფერხებლად იღებენ და ამუშავებენ.

საზოგადოებრივი და საკარმიდამო ზვრებიდან

სიღნაღი. რაიონში მთელი ძალით გაჩაღდა რთველი. ვენახებისაკენ მიმავალ გზებზე, სოფლებში წითელ ქსოვილზე დაწერილი ლოზუნგები გვამცნობენ, რომ მევენახეები 20.000 ტონა ყურძნის მიღებისათვის იბრძვიან. უკვე დამზადებულია 6.800 ტონა ყურძენი. აქედან 2.000 ტონა საკარმიდამო ვენახებშია მოკრეფილი. ყურძნის დამზადებაში დაწინაურდნენ ბოდბისხევის, ძველი ანაგის, ტიბაანის, ჯუგაანის კოლმეურნეობები, ხირსის საბჭოთა მეურნეობა.

„კომუნისტის" გარდამავალი დროშის მოპოვებისათვის გაჩაღებულ სოცშეჯიბრებაში წინ მიდიან ბოდბისხევის კოლმეურნეობა და ანაგის კოლმეურნეობის ის ბრიგადა, რომელსაც ე. ალხანიშვილი ხელმძღვანელობს. რაიონში დაწესებულია აგრეთვე სხვადასხვა სახის ჯილდოები, მსუბუქი ავტომანქანების რიგგარეშე მიყიდვა.

საკარმიდამო ვენახებიდან მოსახლეობა დიდძალ ყურძენს აბარებს. ძველანაგელმა გ. ბეჟიაშვილმა 11 ტონა ყურძენი მიჰყიდა სახელმწიფოს, წნორელმა მ. ყარალაშვილმა — 9,5 ტონა, ანაგელმა ა. დარჩიაშვილმა — 8 ტონა, წნორელმა ჯ. მერაბიშვილმა — 8 ტონა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულს

თელაველთა ვენახებში

თელავი. რაიონის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში რთველი დაიწყო. პირველ რიგში ყურძნის კრეფას შეუდგნენ ის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ვისი ვენახებიც სეტყვამ დააზიანა.

ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სამასამდე მკრეფავი გავიდა ზვრებში. ბევრი მათგანი ყურძნის კრეფის დღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებს და თანამოსაქმეთა ქებას იმსახურებს. მოკრეფილი ყურძენი ლითონის ძარიანი ავტომანქანებით სწრაფად იგზავნება ღვინის ქარხანაში, სადაც შეუფერხებლად იღებენ და ამუშავებენ მოსავალს. მიუხედავად სეტყვისაგან დაზიანებისა, აქ გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ჰექტარზე საშუალოდ 2-3 ცენტნერით მეტ ყურძენს იღებენ. საბჭოთა მეურნეობამ ღვინის ქარხანას უკვე 700 ტონაზე მეტი ყურძენი მიუწონა.

დიდი გამოცოცხლებაა სოფელ კურდღელაურის კოლმეურნეობის ვენახებში. ეს სოფელი წელს ოთხჯერ დაისეტყვა, მოსავლის საკმაო ნაწილი დაზიანდა და რთველის მოკლე დროში ჩატარებაა საჭირო. ამიტომ კოლმეურნეები არ აყოვნებენ და დიდ-პატარა დილიდან საღამომდე ბეჯითად შრომობს, რათა უდანაკარგოდ აიღონ მოსავალი.

რთველის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ ჩატარებისათვის კოლმეურნეობაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, გაზეთ „კომუნისტის" გარდამავალი წითელი დროშის მოსაპოვებლად.

იდეოლოგიურ მუშაობას — პარტიული ზრუნვა

სავსებით კანონზომიერია ის ამბავი, რომ იდეოლოგიური მუშაობა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა აყვანილია კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ამოცანათა დონეზე. იდეოლოგიური მუშაობა სულ უფრო და უფრო ხდება ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, მშრომელთა ფართო მასებში კომუნისტური მსოფლმხედველობის, კომუნისტური ზნეობის ჩამოყალიბების აქტიური საშუალება.

საქართველოს რესპუბლიკის კომუნისტები, მშრომელები დიდი ინტერესითა და მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „იდეოლოგიური კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის ბელორუსიის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ". ამ დადგენილების მიღება დაემთხვა იმ პერიოდს, როცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს პარტიული განათლებისა და მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლის მოსამზადებლად. მზადება მიმდინარეობს იდეოლოგიური, პროპაგანდისტული ამოცანების გათვალისწინებით, იმის მტკიცე შეგნებით, რომ პარტია მოითხოვს საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონისა და ქმედითობის ყოველნაირად ამაღლებას. ნათელი პრინციპული შეფასებით, შინაარსითა და მიზანდასახული მიმართულებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილება საერთო-პარტიული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც იდეოლოგიური ფრონტის ყველა კატეგორიის მუშაკთა საქმიანობას მოიცავს.

იდეოლოგიურ, პროპაგანდისტულ მუშაობაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტთა კადრების შერჩევას, მათს აღზრდას და პროფესიულ დახელოვნებას. იდეოლოგიურ კადრებს გადამწყვეტი როლი ენიჭებათ მთელი ჩვენი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფისა და გაღრმავებისათვის, მისი უპირატესი ქმედითობისათვის, მშრომელთა კოლექტივების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა პროცესზე მისი გავლენის გაძლიერებისათვის.

პარტიული განათლების ქსელში, მშრომელთა ეკონომიურ სწავლებაში ახალი სასწავლო წლისათვის რომ ემზადებიან, პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიულმა კომიტეტებმა გულდასმით უნდა მოახდინონ პარტგანათლების სამივე რგოლის დაკომპლექტება, მასობრივ ეკონომიურ სწავლებაში ჩააბან მშრომელთა ფართო მასები, მეტი ყურადღება გამოიჩინონ თეორიული და პრობლემური სემინარებისადმი, პარტიულ-სამეურნეო აქტივის სწავლებისადმი.

მზადების მსვლელობაში გათვალისწინებულ უნდა იქნას გასულ სასწავლო წელს მიღწეული, შეძენილი გამოცდილება, აგრეთვე ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებიც პარტიული სწავლებისა და მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემის დაკომპლექტებისას, თვით მეცადინეობის მსვლელობის დროს იყო დაშვებული. მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიური განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგებს მთლიანად ახასიათებდა პროპაგანდის ეფექტიანობის ამაღლება. პროპაგანდისტებს შესწევთ უნარი მკაფიოდ, გასაგებად გააცნონ მშრომელებს პარტიის მართალი სიტყვა. ბევრ პოლიტსკოლასა და სემინარში მასალის შესწავლას უკავშირებდნენ პრაქტიკულ საქმიანობას, კონკრეტულ ამოცანებს.

მაგრამ როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ამასწინათ მიღებულ თავის ერთ-ერთ დადგენილებაში, სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებდა ეკონომიური სწავლების ორგანიზაციას ქარელის, კასპის, ხობის, მცხეთის, დუშეთის, ჯავის, შუახევის რაიონებში, ქალაქ ცხინვალში.

ამჟამადაც დიდ მნიშვნელობას იძენს ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითება იმის თაობაზე, რომ „პოლიტიკური განათლების შედეგები შეიძლება მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესებით გაიზომოს". ამ მაღალი დანიშნულების შესრულება იდეოლოგიურ მუშაობას შეუძლია ჯერ ერთი, იმით თუ ყველა რგოლში განუყრელად დაუკავშირდება ცხოვრებას, მეორე, თუ გავლენით მოიცავს მასებს, შრომით კოლექტივებს, ადამიანებს გაუღვიძებს კეთილშობილურ გრძნობებს, პატრიოტულ განზრახვებს, მოაგონებს წმიდათაწმიდა მოვალეობას ხალხის წინაშე.

შარშან აპრილში საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ განიხილა რესპუბლიკის პარტორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური, მთელი იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური პრობლემები. პარტაქტივის კრების რეკომენდაციები ხორციელდება. მაგრამ ის ამოცანები, რომლებიც პარტაქტივის კრებამ დააყენა იდეოლოგიური მუშაობის დარგში, თავისი მნიშვნელობით ამჟამადაც ძალაში რჩება. სახელდობრ:

პარტიის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მთავარი ამოცანაა იდეოლოგიურად უზრუნველყოს პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის გეგმების განხორციელება. ჩვენი მთავარი ამოცანა ეკონომიური პოლიტიკის დარგში ის არის, რომ იდეურ-პოლიტიკურად, იდეოლოგიურად უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების ამოცანის შესრულება;

ჩვენი მეორე მთავარი ამოცანა ის არის, რომ იდეოლოგიურად უზრუნველვყოთ პარტიის სოციალური პოლიტიკის განხორციელება;

ჩვენი მესამე მთავარი ამოცანა ის არის, რომ იდეურ-პოლიტიკურად, იდეოლოგიურად უზრუნველვყოთ პარტიული მშენებლობის დარგში დასახული ამოცანების შესრულება;

ჩვენი მეოთხე მთავარი ამოცანა ის არის, რომ იდეურ-პოლიტიკურად, იდეოლოგიურად მთელი ძალებით დავუჭიროთ მხარი პარტიის საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებას. ეს არის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი მიმართულებანი.

ჩვენ გვაქვს პოლიტიკური განათლების მწყობრი სისტემა, რომელიც მოქმედებაშია 1965 წლიდან. პარტიის წევრთა მარქსისტულ-ლენინურ განათლებას ემსახურება სამი საფეხური: დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი. სულ უფრო უნდა ვაუმჯობესოთ, სრულვყოთ დაწყებითი პოლიტსკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლების, მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების, პარტიულ-სამეურნეო აქტივის საქალაქო და რაიონული სკოლების, თეორიული და მეთოდოლოგიური სემინარების მუშაობა. ამ მუშაობის ურყევი დევიზია: პარტიული განათლების მთელი სისტემა უნდა გავხადოთ კომუნისტების, ყველა მშრომელის ინტერნაციონალური აღზრდის მეცნიერული სისტემა.

პროპაგანდისტი, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკი თავის მუშაობაში გვერდს ვერ აუვლის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის გადაწყვეტილებების, „რესპუბლიკაში პროტექციონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლას. გვერდს ვერ აუვლის მზადებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმისათვის, რომელიც ოქტომბრის პირველ ნახევარში გაიმართება.

პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას — ადამიანთა ქცევასა და შეგნებაში წარსულის გადმონაშთების დაძლევას. აქ, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის „შეუძლებელია დავჯერდეთ ზოგად და გაურკვეველ გამოთქმებს, რომლებიც ძალიან ხშირად ფარავენ მუშაობის სრულ წარუმატებლობას". პროპაგანდისტი, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები კვლავაც შეუპოვრად უნდა ებრძოდნენ ანტისაზოგადოებრივ საქციელს, საერთო ცხოვრების წესების დარღვევებს, მექრთამეობას, გამოძალვას, საქმოსნობას, ურთიერთთავდებობას, კუთხურობას, ძმა-ბიჭობას, ნათლიმამობას, ეგოიზმს, ინდივიდუალიზმს, პროტექციონიზმს, სპეკულაციას, პირფერობას, ცილისმწამებლობას.

ვემზადოთ პარტიული და ეკონომიური სწავლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის, ვიბრძოლოთ იდეოლოგიური მუშაობის ახალი აღმავლობისათვის — ასეთია ამოცანა.

რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ცხრა თვის გეგმა

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, ვადამდე, 23 სექტემბრისათვის შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის 1974 წლის იანვარ-სექტემბრის გეგმა. დავალების გადაჭარბებით რეალიზებული იქნება რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია.

გეგმის ვადამდე შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის საწარმოების — ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, ორჯონიკიძის, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, № 1 ღვინის ქარხნის, შამპანიური ღვინოების ქარხნის, კონიაკის ქარხნის, ჩაისსაწონი ფაბრიკის, რუსთავის საწარმოების — მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ცემენტის ქარხნის, აგრეთვე ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ტრესტ „ჭიათურმანგანუმის", ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის, კასპის ცემენტის ქარხნის, გორის ბამბეულის კომბინატის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის კოლექტივებმა. (საქინფორმი).

თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ცხრა თვის გეგმა

თბილისის მრეწველობამ ვადამდე, 23 სექტემბერს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა.

საგეგმო დავალებათა ვადამდე შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნების; შალსაქსოვი, ჩაისსაწონი ფაბრიკების, აგრეთვე სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატისა და აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივებმა.

(საქინფორმი).

ლია მჭავია ორი წლის წინათ მოვიდა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. მოკლე ხანში დაეუფლა კბილგამომყვანის რთულ პროფესიას და მუშაობის პირველი დღეებიდანვე გადაჭარბებით ასრულებს ცვლის დავალებებს.

ამჟამად კომკავშირელი ლია მჭავია ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა შესრულებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში დგას.

მუყაითი გოგონა ყოველდღიურ დავალებებს 130-140 პროცენტით ასრულებს.

სურათზე: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მოწინავე კბილგამომყვანი კომკავშირელი ლია მჭავია.

ვ. მორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო ერაყის მინისტრი

21 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო საბჭოთა კავშირში ვიზიტით მყოფი ერაყის რესპუბლიკის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. ტაკა.

ნ. ვ. პოდგორნიმ და შ. დ. ტაკამ კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს პატივისცემა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა მყარია, წარმატებით ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ერაყის ხალხების საკეთილდღეოდ, ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის. მათ განაცხადეს, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ საბჭოთა კავშირ-ერაყის ურთიერთობა ახალ, კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანა, საიმედო საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი შექმნა საბჭოთა კავშირისა და ერაყის რესპუბლიკის ხელსაყრელი თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებას. გამოითქვა მტკიცე გადაწყვეტილება კიდევ უფრო განავითარონ და განამტკიცონ ეს თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სხვა დარგებში.

აქტუალური საგარეო პოლიტიკური პრობლემების განხილვის დროს მხარეებმა დაადასტურეს, რომ მზად არიან კვლავაც ყოველი ღონე იხმარონ, რათა განამტკიცონ მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება. კვლავ გამოითქვა აზრი, რომ ახლო აღმოსავლეთში ჭეშმარიტად სამართლიანი და მტკიცე მშვიდობა შეიძლება დამყარდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ გაათავისუფლებენ ისრაელის მიერ ოკუპირებულ ყველა არაბულ ტერიტორიას და უზრუნველყოფენ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ ეროვნულ უფლებებს.

საბჭოთა კავშირი და ერაყი კვლავაც დაეხმარებიან და მხარს დაუჭერენ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელიც მათ არაბეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად მიაჩნიათ.

საუბრის დროს ხაზი გაესვა, რომ თანამედროვე პირობებში იმპერიალიზმისა და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესის გზით შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფად არაბი ხალხების წარმატებული ბრძოლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არაბული სახელმწიფოების ერთიანობისა და შეკავშირების გაძლიერებას ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებას.

საუბრის დროს მხარეებმა აღნიშნეს სსრ კავშირისა და ერაყის ხელმძღვანელობის კონსულტაციებისა და რეგულარული კონტაქტების დიდი მნიშვნელობა და სასარგებლო ხასიათი, რაც ხორციელდება საბჭოთა კავშირ-ერაყის ხელშეკრულების შესაბამისად და მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს ორი ქვეყნის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების საქმეში.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სახელმწიფოს ბეღელში

ხარკოვის ოლქმა და ხაბაროვსკის მხარემ შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულება

◆

ხარკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, ასრულებენ რა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიისადმი საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებისათვის, მოიყვანეს მარცვლეულის უხვი მოსავალი, ორგანიზებულად ჩაატარეს მოსავლის აღება და შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა პურის მიმღებ პუნქტებს ჩააბარეს 959 ათასი ტონა მარცვლეული, გადაჭარბებით შეასრულეს ხორბლის, ქერის, შვრიის, პარკოსანი კულტურების და ბურღულეულის დამზადების გეგმები. სახელმწიფოსათვის პურეულის მიყიდვა გრძელდება. სულ სიმინდთან ერთად სახელმწიფოს მიჰყიდიან არანაკლებ მილიონ ტონა მარცვლეულს.

მარცვლეულის აღებასა და გამოზიდვაში კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს დიდი დახმარება გაუწიეს სამრეწველო საწარმოების, სატრანსპორტო და დამამზადებელი ორგანიზაციების კოლექტივებმა.

ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწათმოქმედები და მეცხოველეები დღეს დიდი შრომითი აღმავლობით მუშაობენ, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებანი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრების, საკვების დამატებით დამზადების რეზერვების გამოყენების, გამოზამთრებისათვის მეცხოველეობის მომზადების შესახებ.

ხაბაროვსკის მხარის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მარცვლოვანი კულტურების კარგი მოსავალი მოიწიეს და შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი.

მხარის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, პარტიული ორგანიზაციები, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მეცადინეობას ახმარენ საშემოდგომო მინდვრის სამუშაოების უსწრაფესად დამთავრებას, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.



ჩეხოსლოვაკიელი სტუმარი

ორ დღის თბილისში სტუმრად იყო ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური საკონტროლო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მილაშ იაკეში. სტუმარმა დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი და მისი მიდამოები, იმოგზაურა საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთასა და ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. იგი ესტუმრა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმსა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას.

22 სექტემბერს მილაშ იაკეში შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ზ. პატარიძეს. საუბრის დროს სტუმარს უამბეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების შესახებ.

ამხ. ზ. პატარიძემ დიდი ყურადღება დაუთმო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს მეცხრე ხუთწლიანი გეგმის უთუოდ შესრულების უზრუნველყოფაში.

საუბარს ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე დ. გელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. მინდიაშვილი.

23 სექტემბერს მილაშ იაკეში მოსკოვს გაფრინდა. (საქინფორმი).

საბჭოეთი:

ახალი ამბები

☐ ერევანი. ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა „სომხეთელექტრომანქანის" საწარმოო გაერთიანების 100 კილოვატამდე სიმძლავრის გენერატორს. ამ ნაწარმის პირველი პარტია გაეგზავნა შემკვეთს.

გაერთიანების კოლექტივი დღენიადაგ აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. საპატიო ხუთკუთხიანი ნიშანი ახლა ამშვენებს ორმოცამდე დასახელების ელექტრომანქანას.

☐ კალუგა. სახელმწიფო კომისიამ საექსპლოატაციოდ მიიღო კალუგის ოლქის ნედელინოს მეფრინველეობის ფაბრიკის პირველი რიგი. ეს მსხვილი საწარმო სპეციალდება თეთრი ინდაურების მოშენებაზე. აქ საწარმოო პროცესების უმრავლესობა მექანიზებული და ავტომატიზებულია.

მეფრინველეობის ფაბრიკაში გამოიყვანეს და გასასუქებლად გადასცეს 38 ათასი ინდაურის ჭუკი. მიმდინარეობს საწარმოს მეორე რიგის მშენებლობა. (საკდესი).

პირუტყვს — საკვების წლინახევრის მარაგი!

გეგმაც, ვალდებულებაც

გვესაუბრება პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი შ. ეცადაშვილი

შემოდგომაა და სასოფლო რაიონებში უამრავი საქმეა. მართალია, ჩვენი რაიონი ძირითადად მევენახეობის მიმართულებისაა, მაგრამ მეცხოველეობა უყურადღებოდ როდი მიგვაქვს. პირიქით, ამ დარგს პარტიის რაიონული კომიტეტი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ვეძებთ პირუტყვის საკვების რეზერვებს, მეცხოველეობის პროდუქტების გაიაფების გზებსა და საშუალებებს. ქოდალოს მეცხოველეობის კომპლექსში მოვაწყეთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასასუქებელი ღია ტიპის სადგომები, სადაც 1.250 სული პირუტყვი თითქმის საველე პირობებში სუქდება. ამ სასუქ პუნქტს რეგულარულად ვაკვირდებით, ვამოწმებთ დანახარჯებს, ყოველდღიურ წონამატებს. ჯერჯერობით კარგი შედეგებია მიღებული. კომპლექსში მიღებულ საუკეთესო ხბორებს კოლმეურნეობებს ვუნაწილებთ.

პირუტყვის საკვების წარმოების საქმეში რაიონში არც თუ ურიგოდ არის საქმე, მაგრამ თივის, სილოსისა და სხვა უხეში საკვების გეგმები ჯერჯერობით არ არის შესრულებული. რა ღონისძიებებს ახორციელებთ შეფერხებათა სალიკვიდაციოდ?

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობით ჩვენს რაიონში უხეში საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით, ხოლო სენაჟისა — 236 პროცენტით. დღეისათვის უფრო მეტია დამზადებული. რაც შეეხება თივას: პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რაიონი სათიბების ძლიერ ნაკლებობას განიცდის. მიუხედავად ამისა, თივის დამზადების ვალდებულებას მაინც შევასრულებთ. ახლა წვიმების შემდეგ მეორეჯერ ვთიბავთ ბალახს. ბალახს არ ვტოვებთ გაუთიბავს გზის პირებზე, ვენახის მისასვლელებთან, ყველგან, სადაც კი ცელი მისწვდება. სილოსის ჩადების საქმეში ჩამორჩენა ძირითადად გამოწვეულია უამინდობით. ნაწვერალზე ნათეს სიმინდს რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა კარგად მოუარეს, შეიტანეს სასუქები, ჩაატარეს კულტივაცია, და მწვანე მასის ჩინებული მოსავალი მოიყვანეს. ახლა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს დასილოსება. ჩადებულია 18.441 ტონა. უახლოეს დროში სილოსის ჩადების დავალებაც დიდი გადამეტებით შესრულდება. ჩავდებთ 40.000 ტონას. ამით ვალდებულებას ორმაგად და მეტად გადავაჭარბებთ.

უხეში საკვების დამზადების გეგმა ვაზისუბნის, ჩუმლაყის, ჩალაუბნის კოლმეურნეობებმა, შრომის, მუკუზნის მეურნეობებმა და ბაკურციხის სანერგე მეურნეობამ დიდი გადამეტებით შეასრულეს; დავალება ქოდალოს მეცხოველეობის კომპლექსმა სამმაგად, ხოლო ველისციხის კოლმეურნეობამ ორმაგად და მეტად შეასრულეს. ჩამორჩნენ კარდანახის საბჭოთა მეურნეობა, ჯიმითის კოლმეურნეობა, კოლაგის სანერგე მეურნეობა. მიღებული ღონისძიებების შედეგად ჩამორჩენილებიც ამ დღეებში გადამეტებით შეასრულებენ გეგმებს.

პირუტყვის ყველა სახის საკვებს უხვად მოვიმარაგებთ, შევასრულებთ გეგმებსაც და ვალდებულებებსაც, შევქმნით პირუტყვის საკვების წლინახევრის მარაგს. ამასთან საკვების წარმოებაზე შესამჩნევად ვამცირებთ დანახარჯებს, ვინაიდან კარგად ვიცით, რომ იაფი საკვები მეცხოველეობის პროდუქტების გაიაფების უტყუარი საშუალებაა.

ხუთწლიანი გეგმა შესრულებულია!

გორის საკონსერვო ქარხნის პამიდვრის საამქროს კომუნისტური შრომის კოლექტივმა, რომელმაც იკისრა ვალდებულება ხუთწლიანი გეგმა სამ წელიწადსა და ცხრა თვეში შეესრულებინა, პირობა ვადაზე ადრე გაანაღდა. კოლექტივმა იკისრა დამატებითი სოციალისტური ვალდებულება — მეცხრე ხუთწლედის ბოლომდე დაამზადოს კიდევ ცამეტი მილიონი ქილა კონსერვი.

(საქინფორმი).

ჩვენ გვესაჭიროება ადამიანთა ვარგისობის შემოწმება, ფაქტიური შესრულების შემოწმება... ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება — ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძი.

ვ. ი. ლენინი.

მასების კონტროლით!

სახალხო კონტროლის № 92 გვერდი

- კონტროლი სუსტია, მშენებლები ჩამორჩნენ
- სასტუმრო ახალი — მომსახურება ძველებური, მანკიერი...
- განცხადებები, საჩივრები მომრავლდა, რეაგირება და ყურადღება კი მოდუნდა.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

რატომ შეფერხდა მშენებლობა?

მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის, საფქვავბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა მშენებლობის გეგმებისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დავალებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ იმსჯელა ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ამ მხრივ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით კაპიტალური დაბანდებების, მათ შორის საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შვიდი თვის გეგმის შესრულება შეადგენს შესაბამისად 71 და 88 პროცენტს, კვების მრეწველობის სამინისტროს — 95 და 87, დამზადების სამინისტროს — 82 და 76 პროცენტს, ხოლო ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების 106 პროცენტით შესრულებასთან კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის მაჩვენებელი 95 პროცენტს შეადგენს.

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრომ, რომელიც ასრულებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დიდ მოცულობას (ხორცისა და რძის მრეწველობის გარდა), თავი ვერ გაართვა დავალების შესრულებას და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შვიდი თვის გეგმა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე შეასრულა 87 პროცენტით, კვების მრეწველობის — 81 პროცენტით და დამზადების სამინისტროს — 79 პროცენტით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა აღნიშნულ პერიოდში თავისი ძალებითაც ვერ შეასრულეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ (73 პროცენტი) და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქკვებრემმშენმა" (92 პროცენტი).

სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ კონტროლზე აყვანილი კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის, საფქვავბურღულისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოო დანიშნულების მშენებარე 30 ობიექტიდან, რომელთა ამოქმედება გათვალისწინებულია 1974-1975 წლებში, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შვიდი თვის გეგმა შესრულებული არ არის 18 ობიექტზე.

მიმდინარე წელს ჩაშლის საფრთხის წინაშეა ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტების ამოქმედება, როგორიც არის სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკა, შემოქმედისა და ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკები, სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკა, რუსთავის ხორცგადამმუშავებელი ქარხნის მაცივარი, გორის წისქვილკომბინატი, ლანჩხუთის მზა პროდუქციის საწყობი, თბილისის № 1 წისქვილკომბინატთან ფქვილის უტაროდ შენახვის საწყობი, მექანიზებული თონე წყალტუბოში, გურჯაანის სპირტის ქარხნის და წითელწყაროს ღვინის ქარხნის საწნეხი კორპუსები და 1975 წელს საექსპლოატაციოდ გადასაცემი სურამის მინის ტარის ქარხანა, ბორჯომის ჩამომსხმელი ქარხანა, ფოთის წისქვილკომბინატის ელევატორი და სხვ.

მშენებარე ობიექტების უმეტესი ნაწილის მშენებლობის ტემპები არ გაძლიერდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიმდინარე წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგების განხილვის შემდეგაც, სადაც ხაზგასმით აღინიშნა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის და დამზადების სამინისტროების საწარმოო დანიშნულების ობიექტებზე კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებაში. მიმდინარე წლის ივლისში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვიური გეგმის შესრულება ჩაშლილი იყო ხაშურის საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკის, შემოქმედის ჩაის ფაბრიკის, სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის, რუსთავის ხორცის გადასამუშავებელი ქარხნის მაცივრის, ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის, წყალტუბოში მექანიზებული თონის, ფოთის წისქვილკომბინატის მშენებლობებზე, სერიოზული ხარვეზები იყო ლანჩხუთის მზა პროდუქციის საწყობის მშენებლობაზე, ხოლო სურამის მინის ტარის ქარხნის მშენებლობა მიმდინარე წლის ივლისში ფაქტიურად შეჩერდა.

კაპიტალური მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობა ამ საქმისადმი რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს, კვების მრეწველობის სამინისტროს ტრესტ „საქკვებმრემმშენის" მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, „საკელევატორწისქვილრემმშენის" სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობის შედეგია, რაც გამოიხატება სამშენებლო სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციით, სამშენებლო მასალებითა და კონსტრუქციებით, მუშახელით არადროულად უზრუნველყოფით. ამასთან საქართველოს სსრ მსუბუქი, კვების მრეწველობისა და დამზადების სამინისტროებმა მშენებარე ობიექტები დროულად ვერ უზრუნველყვეს დაფინანსებით, ტექნიკური დოკუმენტაციით, მოწყობილობით, საკაბელო, პროდუქციით, სპეცმასალებითა და ნაწარმით.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მიიღო სათანადო ღონისძიებანი შემოწმებით გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. კომიტეტის დადგენილებით მშენებლობის სამინისტროს №№ 1, 2, 4, 6, 9, 11, 12 და 16 ტრესტების მმართველებს კ. გოგიჩაიშვილს, ვ. ჭურაძეს, ა. ჯიქიას, ა. ქართველიშვილს, ნ. სიხარულიძეს, ო. გულუას, კ. სოზიაშვილს, ო. კუჭავას, კვების მრეწველობის სამინისტროს „საქკვებრემმშენის" მმართველს ბ. ფაშალიშვილს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსს ტ. მენაბდეს და „საკელევატორწისქვილრემმშენის" სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსს ვ. ჩიგოგიძეს დაევალათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულებას, სიმძლავრეთა ამოქმედებას და სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან ერთად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის გ. გამცემლიძის, კვების მრეწველობის მინისტრის რ. კონცელიძის, ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის გ. დუჩიძის, დამზადებათა მინისტრის შ. ჭანუყვაძის, მთავარმომარაგების უფროსის მ. კოდუას ყურადღება მიექცა იმას, რომ დაუშვებელია ზოგიერთ ობიექტზე ცალკეული სახეობების ტექნოლოგიური და დასაკომპლექტებელი მოწყობილობის, სპეცმასალების, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაციის სრული მოცულობით უქონლობა და მოეთხოვათ გადაუდებელი ზომები მიიღონ ზემოაღნიშნულით უზრუნველსაყოფად. კომიტეტმა ცნობად მიიღო საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილის მ. კიკნაძის, მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილის ა. აფაქიძის, კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილის მ. ზოდელავას, ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის მოადგილის მ. შუბითიძის, დამზადებათა მინისტრის მოადგილის ნ. ჩიბლაშვილის და „საკელევატორწისქვილრემმშენის" სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უფროსის ვ. ჩიგოგიძის განცხადებები იმის შესახებ, რომ მათ მიერ მიღებული იქნება ყველა ზომა კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულების და საწარმოო სიმძლავრეების დაწესებულ ვადებში ამოქმედების უზრუნველსაყოფად.

კომიტეტის დადგენილებით აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ao, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებს დაევალათ მიიღონ გადაუდებელი ზომები ამ მშენებლობებზე სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად და მათი მუშაობა წარმართონ მშენებლობის გეგმების შესრულებისა და ხარისხისადმი სისტემატური კონტროლის განხორციელებისაკენ. გადაწყდა აგრეთვე ამ მხრივ 9 თვის მუშაობის შედეგებზე გაიმართოს თათბირი, რომელზეც მოსმენილი იქნება ამ დარგების მშენებარე ობიექტების სახალხო კონტროლის ჯგუფების წარმომადგენელთა ინფორმაციები მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ.

კონტროლიორები მსჯელობენ

ზონალური თათბირი საგარეჯოსა და აგარაში

ამ დღეებში საგარეჯოში გაიმართა კახეთის და ქართლის მევენახეობის რაიონების სახალხო კონტროლის ორგანოთა ზონალური თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიის რაიკომების მუშაკები, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეები, ჯგუფებისა და საგუშაგოების ხელმძღვანელები და წევრები, აგრეთვე სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები, სპეციალისტები.

თათბირმა განიხილა საკითხი მიმდინარე წლის ყურძნის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების უზრუნველყოფის საქმეში სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანების შესახებ.

მოხსენების გამო სიტყვებით გამოვიდნენ გურჯაანის, ახმეტის, სიღნაღის, კასპის, წითელწყაროს რაიონების სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაკები, სპეციალისტები.

ასეთივე თათბირი გაიმართა აგარის შაქრის კომბინატში. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეები, სპეციალისტები და გაერთიანება „საქკონსერვის" წარმომადგენლები.

თათბირზე განიხილეს საკითხი მიმდინარე წლის შაქრის ჭარხლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, გადაზიდვის და გადამუშავების უზრუნველყოფის საქმეში სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანების შესახებ. **(საქ. კორ.).**

საჩივრები და აღრიცხვა

ამბროლაური. (საქ. კორ). ამ დღეებში სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა განიხილა საკითხი საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ საწარმოთა კომბინატში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვისა და მათზე რეაგირების შესახებ.

აღინიშნა, რომ ქალაქის კომუნალურ საწარმოთა კომბინატში ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვას და მათზე რეაგირების საქმეს. ზოგი განცხადება თვეობით პასუხგაუცემელია, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

სახალხო კონტროლის კომიტეტმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება.

სემინარი

გეგეჭკორი. (საქ. კორ.). აქ ჩატარდა სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა სემინარი, რომელიც მიეძღვნა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა საკითხებს.

თავიანთი მუშაობის გამოცდილებაზე ილაპარაკეს გეგეჭკორის საბჭოთა მეურნეობის, კურზუს კოლმეურნეობის, საკონსერვო ქარხნის, კიწიის სასოფლო საბჭოს სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეებმა.

ფხიზელი თვალი

სახალხო კონტროლიორს ნამდვილად ფხიზელი თვალი უნდა ჰქონდეს. მის მხედველობას არ უნდა გამოეპაროს წესრიგის დარღვევისა და საზოგადოებრივი დოვლათის ხელყოფის არც ერთი შემთხვევა, ამასთანავე უნდა ჰქონდეს პირადი შრომითა და ადამიანური ღირსებებით მოპოვებული ავტორიტეტი.

ალექსანდრე მელაძე სოფელ ძალისში სწორედ ასეთი ავტორიტეტით სარგებლობს. სამამულო ომის აქტიურ მონაწილეს თანასოფლელებმა ჯერ სასოფლო საბჭოს მდივნობა, შემდეგ თავმჯდომარეობა მიანდვეს, იყო კოლმეურნეობის წინამძღოლიც. ცამეტი წელია კომუნისტი ა. მელაძე სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარეა, დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით — „სახალხო კონტროლის წარჩინებული".

ჯგუფის აქტიური კონტროლიორები არიან ლ. ხაბელაშვილი, ჩ. გიგაური, შ. კუდუხაშვილი, გიორგი და შალვა ცაბოშვილები, დ. ჩალაგაშვილი, დ. თეზელაშვილი. მეურნეობის ყველა ბრიგადაში შექმნილია სამკაციანი საგუშაგოები. საქმეში ჩაუხედავმა ადამიანმა შეიძლება თქვას, განა სოფელში ამდენი საკონტროლო რა არისო. სინამდვილეში მიუხედავად პროფილაქტიკური ღონისძიებებისა, რასაც სახალხო კონტროლის ორგანოები ატარებენ, არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ ხელი მოითბონ საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯზე, არიან ქურდები, თვალისამხვევნი. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. შეღორეობის ფერმის შემოწმებისას მწყემს ვ. რუბაშვილს დააკლდა გოჭები. სახალხო კონტროლიორებმა კვალდაკვალ მისდიეს დანაშაულს, აღმოჩნდა, რომ გოჭები ჯერ სახლში დაემალათ, შემდეგ კი მეზობელ სოფელ მჭადიჯვარში ნათესავთან წაეყვანათ. დამნაშავეებს ვერაფერმა უშველა — მოპარული გოჭები აანაზღაურეს.

მიღებული სიგნალის შემდეგ ერედის ფერმაში შესამოწმებლად კონტროლიორი ნ. ვალიშვილი გაგზავნეს. აქ ადგილი ჰქონდა კომბინირებული საკვების დატაცებას, ვალიშვილი თავზე დაადგა დამნაშავეებს, ისინი სათანადოდ დაისაჯნენ.

კონტროლიორთა ფხიზელ თვალს არ გამოჰპარვია ზოგიერთი ავტომძღოლის დანაშაული. ამას წინათ დააკავეს საშენი ბლოკებით დატვირთული ავტომანქანა, რომელიც ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებლობაზე უნდა მიეტანათ. ავტომძღოლს კი სურდა ბლოკი სოფელში გაეყიდა, მაგრამ დამნაშავე მახეში გაება.

სახალხო კონტროლის ჯგუფის მოთხოვნით შემოწმდა სოფლის მაღაზია, სადაც აღმოჩნდა გაფლანგვა. მაღაზიის გამგე მ. ნამგალაური პასუხისგებაში მისცეს.

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მთავარი ის არის, რომ ბოლო დროს მეურნეობაში საგრძნობლად შემცირდა სხვადასხვა სახის დანაშაულობანი, ამაში დიდი ღვაწლი სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრებს მიუძღვით.

ადვილი როდია სახალხო კონტროლიორობა. დანაშაულის ჩამდენის როლში ზოგჯერ მეზობელი და ნათესავიც კი აღმოჩნდება ხოლმე, და უნდა გაუძლო მათს საყვედურებს, ბოლომდე უნდა გამოიჩინო პრინციპულობა. ალექსანდრე მელაძისა და მისი ჯგუფის წევრების მთავარი საზრუნავია დაახშონ დანაშაულის ყველა ხვრელი, მისი გამომწვევი მიზეზები.

ძალისის მეთესლეობის ექსპერიმენტულ მეურნეობაში (დირექტორი თ. კურტანიძე), სადაც ჩვენ ვშრომობთ, ახალ-ახალი წარმატებებია მოპოვებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცებაში, მატულობს საზოგადოებრივი დოვლათი. ეს არა მარტო მეურნეობის დირექციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ნაყოფიერი მუშაობის შედეგია, არამედ ამაში სახალხო კონტროლიორების დიდი ღვაწლიც არის.

ჟ. ტერუნაშვილი, დ. ბურდული, ე. ხუროშვილი, ზ. აბაშვილი მცხეთის რაიონის ძალისის მეთესლეობის ექსპერიმენტული მეურნეობის თანამშრომლები.

ვისწავლოთ კონტროლი

ფოთი. **(საქ. კორ.).** პურკომბინატის, ხორცკომბინატისა და კავშირგაბმულობის ფოთის კვანძის სახალხო კონტროლის ჯგუფების სწავლების ფორმებისა და მეთოდების შესახებ იმსჯელა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა. როგორც გამოირკვა, პურკომბინატისა და ხორცკომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფებს გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული კონტროლიორთა მუდმივმოქმედი სწავლების საქმეში. ამ ჯგუფებისათვის შექმნილია მუდმივმოქმედი სემინარები. პურკომბინატის სახალხო კონტროლის სწავლების სემინარში გაერთიანებულია 21, ხოლო ხორცკომბინატში — 15 კაცი. სემინარი ეწყობა თვეში ერთხელ. სემინარის ხელმძღვანელებს მუდამ აქვთ კვარტალური სამუშაო გეგმები, რომლებიც დამტკიცებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომაზე და პარტიული ორგანიზაციის კრებაზე. თემატურ გეგმებში შეტანილია კონტროლის ორგანოების დებულებით გათვალისწინებული და საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე საკითხები.

მიუხედავად ამისა, პურკომბინატისა და ხორცკომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფებს სახალხო კონტროლიორთა სწავლების საქმეში აქვთ ნაკლოვანებანი: არ ხდება მოწინავე გამოცდილების გაზიარება, შემოწმების შედეგების გაანალიზება დატაცების, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და სხვ.

სხდომაზე ისიც ითქვა, რომ კონტროლიორთა სწავლების საქმე ჩაშლილია კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძში (ჯგუფის თავმჯდომარე ნ. ბერაია). აქ არ არსებობს სწავლების მუდმივმოქმედი სემინარი და, რა თქმა უნდა, არც მეცადინეობა ეწყობა. სწავლების თემატურ გეგმებსა და აღრიცხვის ჟურნალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ ჯგუფის წევრთა უმრავლესობამ არ იცის თავიანთი უფლება-მოვალეობანი. ამ მდგომარეობით განპირობებულია ის, რომ კავშირგაბმულობის კვანძის სამეურნეო საქმიანობაში მრავალი ხარვეზია.

სახალხო კონტროლის ფოთის საქალაქო კომიტეტმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

თბილისის საწარმოო აბრეშუმის გაერთიანების სახალხო კონტროლიორები — მარცხნიდან ჯგუფის თავმჯდომარე ო. მაჩიტაძე, მქსოველი ნ. რამიშვილი, ცვლის უფროსი მ. დუნდუა და მქსოველი ც. პაპუნაშვილი ამოწმებენ ძაფის ხარისხს.

გ. გოგოხიას ფოტო.

რთველი — საერთო საზრუნავი

რთველი დაიწყო. მალე წინანდლის ლენინის ორდენოსან მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახელგანთქმულ ზვრებშიც ხალხმრავლობა იქნება — მთელი ძალებით გაჩაღდება ყურძნის კრეფა. ეს პერიოდი მეტად საპასუხისმგებლოა სახალხო კონტროლიორებისათვის. მეურნეობის ყოველ კუთხეში ასი თვალი და ასი ყური საჭირო, რომ არ დაიკარგოს ან უყაირათობით არ განადგურდეს არც ერთი მტევანი, არც ერთი მარცვალი ყურძენი.

ყურძენს კი, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი მტერი ჰყავს. რთველის გაჭიანურებამ, თუნდაც ერთი დღით, დიდი დანაკარგები მოგვცეს. ამიტომ ამ სამუშაოს შემჭიდროებულ ვადებში და ორგანიზებულად ჩატარებისათვის ყველამ უნდა იზრუნოს. მთელ კოლექტივთან ერთად დიდი როლი ეკისრებათ სახალხო კონტროლიორებს. თვითონ შრომის ავანგარდში უნდა იყონ და თანამოსაქმეებსაც რაზმავდნენ ყურძნის მოსავლის სწრაფად აღებისა და უდანაკარგოდ დაბინავებაში.

მაგრამ სახალხო კონტროლიორებს კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ რთველის პერიოდში სახალხო დოვლათის ხელყოფისაგან დაცვაში. წარსული წლების გამოცდილებით ვიცით, რომ საკმარისია სიფხიზლის თუნდაც ოდნავ მოდუნება, და ხელმრუდე ადამიანები მაშინვე სარგებლობენ — ცდილობენ ხელყონ მთელი წლის ნაჯაფი, სახალხო ქონება. ასეთ მცდელობას ადგილი ჰქონდა, მაგალითად შარშან ჩვენი მეურნეობის ქვემო ხოდაშნის განყოფილებაში.

ჩვენი მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიურომ კარგად გაითვალისწინა ყველა გარემოება და წელს ისე მოაწყო საქმე, რომ წინასწარ შეიძლება ითქვას — ყველა გზა მოჭრილი აქვთ ბოროტ ადამიანებს. მეურნეობის ათ განყოფილებაში არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და ბრიგადებში მოწყობილი საგუშაგოების წევრები მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას.

129 სახალხო კონტროლიორი მეურნეობის ყოველ კუთხე-კუნჭულს მეტისმეტად იცავს, ფხიზლად ადევნებს თვალყურს ყველაფერს, თვითეული ადამიანის საქმიანობას.

ა. ფირანიშვილი,

წინანდლის ლენინის ორდენოსანი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ანგარიში — შემოწმების ფორმა

სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა თავის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილა ხაშურის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობის საკითხი. გამოირკვა, რომ ამ ჯგუფმა უკანასკნელ ხანებში ერთგვარად გააუმჯობესა მუშაობა. მიმდინარე წლის თებერვალში, აპრილსა და მაისში, აგრეთვე ივნისში სახალხო კონტროლის ჯგუფმა საკმაოდ ღრმად შეამოწმა კავშირგაბმულობის სურამის, გომის, ალის, ქვიშხეთის, ტაშისკარის და ხაშურის № 3 განყოფილებები. დეტალურად იქნა შესწავლილი პენსიების, ფასიან გზავნილობათა გადაცემისა და ტელეგრაფით მომსახურების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ ადგილი აქვს პენსიების დაგვიანებით გაცემას, ფასიან გზავნილობათა დაყოვნებას, ნაკლოვანებებს ტელეგრაფის მუშაობაში. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა სახალხო კონტროლის ჯგუფის სხდომაზე. მიღებული დადგენილება დაეგზავნა სათანადო ორგანიზაციებს, რომლებმაც მოკლე დროში აღმოფხვრეს ნაკლოვანებანი, და მდგომარეობა გამოსწორდა.

მაგრამ სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ კავშირგაბმულობის კვანძის სახალხო კონტროლის ჯგუფის მუშაობაში კვლავ არის ნაკლოვანებანი.

კონტროლიორთა ერთი ნაწილი პასიურობს და მონაწილეობას არ იღებს ჯგუფის მუშაობაში, სათანადოდ არ ზრუნავს დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამუშაო გეგმების შესრულების მიმდინარეობის, აგრეთვე ხელმომწერთათვის ჟურნალ-გაზეთების ჩაბარების შემოწმებისათვის. ამ მხრივ კი კავშირგაბმულობის კვანძში ყოვლადაც რიგზე როდია. ნაკლოვანებანი იმით არის გამოწვეული, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფი ნაკლებად იყენებს დებულებით მინიჭებულ უფლებებს. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ, ამ ჯგუფში ყურადღება არ ექცევა კონტროლიორთა სწავლებას, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, თვითეული კონტროლიორის პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ბოლო ხანებში ჩვენ ხშირად განვიხილავთ სახალხო კონტროლის ძირეული ჯგუფების მუშაობის საკითხებს. გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ კონტროლის ასეთი ფორმა კარგ შედეგებს იძლევა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დადგენილების მიღების შემდეგ უმალვე იწყება კონტროლი შესრულებისადმი. როგორც წესი, ჩვენ იმ ჯგუფების მუშაობის საკითხს, რომლისაც რაიონულმა კომიტეტმა განიხილა, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ, კვლავ და კვლავ ვამოწმებთ მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას.

ვფიქრობთ ახლა შემოვიღოთ კონტროლის ძირეული ჯგუფების ანგარიშები. ისინიც კარგ შედეგებს მოგვცემენ.

ა. ჩიქოვანი,

სახალხო კონტროლის ხაშურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

წერილი კომენტარით

უწესრიგობანი სასტუმროში

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ მიიღო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკების, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატების **თ. გუროს, ი. ჯანჯღავასა** და **ა. აბესაძის** წერილი, სადაც მხილებულია ჭიათურის სასტუმროში არსებული ზოგიერთი უწესრიგობანი.

ადგილზე უფრო დაწვრილებით გავეცანით ვითარებას. სასტუმრო „ახალი ჭიათურა" საექსპლოატაციოდ გადაეცა 1964 წლის 25 ნოემბერს. იგი საცხოვრებელ ბინად იყო გათვალისწინებული და, როგორც ბინათმშენებლებს სჩვევიათ, შენობას თავიდანვე თან დაჰყვა სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებანი. კედლები უბრალოდ იყო შეთეთრებული, სანტექნიკური სამუშაოები შესრულებული იყო უხარისხოდ, უპასუხისმგებლოდ. მილგაყვანილობა რამდენჯერმე შეაკეთეს, მაგრამ პირველ სართულზე და რესტორანში ხშირად წყალი ჩამოდის. სასტუმრომ ერთი წლის დაგვიანებით მიიღო ცხელი წყალი, ასევე დაგვიანებით დაიდგა ტელეფონები, რადიოები და სხვ.

ჭიათურას უკეთესი სასტუმრო შეეფერებოდა. 1971 წელს გადაწყდა სასტუმროს კაპიტალური რემონტი. ამისათვის გამოიყო 141 ათასი მანეთი. შედგა ხარჯთაღრიცხვა. სამუშაოების შესრულება დაევალა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს „საქკომრემშენტრესტის" სპეციალიზებულ სამმართველოს (უფროსი ბ. კვანტალიანი, სამუშაოთა მწარმოებელი გ. ლომიძე). რემონტი დაიწყო 1971 წლის 2 ივლისს დღემდე დაიხარჯა 113.437 მანეთი და, სამწუხაროდ, ყველა სამუშაო დღესაც როდია შესრულებული.

საკითხავია: როგორია შესრულებული სამუშაოების ხარისხი? ერთობ უხეირო, ცუდი. ჯერ რემონტი დაუმთავრებელია, ბევრი რამ კვლავ თავიდანვეა გასაკეთებელი.

კორიდორებში პროექტიდან გადახვევით შესრულდა სამუშაოები. ლინოლეუმი ცემენტის იატაკზე უნდა გადაეკრათ, მაგრამ პირდაპირ პარკეტზე დააგეს. ამის გამო პარკეტი დალპა, კორიდორებში გაჩნდა ოღროჩოღროები, იხევა ძვირადღირებული ლინოლეუმი და იქ მოძრაობაც უხიფათო როდია. ფოიესა და სამივე სართულის მოსაცდელის კედლებზე საკმაოდ უხარისხოდ არის აკრული პანელი. ფოიეში იატაკზე ორჯერ დააგეს პლასტიკატები, მაგრამ ორივეჯერ აცვივდა და ახლაც ასეა მიტოვებული. აქვე რატომღაც გააუქმეს ტუალეტი, რაც უხერხულობაში აყენებს მომსვლელთ. უხარისხოდ არის შესრულებული სანტექნიკური სამუშაოები, ელგაყვანილობა, სახურავის შეკეთება და სხვ.

რემონტთან დაკავშირებით სასტუმროში მოიხსნა ტელეფონისა და რადიოს ხაზები. მათ აღსადგენად ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებამ ჯერ კიდევ 1972 წელს შეადგინა ხარჯთაღრიცხვა (4 ათასი მანეთი), მაგრამ ხაზები დღემდე აღუდგენელია. მიზეზად სპეციალისტების უქონლობასა და მასალების უქონლობას ასახელებენ. კლიენტები კი სამართლიან გულისწყრომას გამოთქვამენ.

სავალალო მდგომარეობაშია აბაზანები. სასტუმროს დირექტორის ოფიციალური განცხადებით „სასტუმროში ცხელ წყალს იმიტომ ვერ იღებენ, რომ საქვაბე ეკუთვნის კომუნალური მეურნეობის განყოფილების სახლმმართველობას, და ისინი სასტუმროს ცეცხლფარეშს საქვაბეში არ უშვებენ. ამის თაობაზე ბევრჯერ მივმართეთ ქალაქის საბჭოს აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას, მაგრამ საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია". არ ვარგა განათება, სტუმარი აბაზანას ვერ იღებს, არც ტელეფონია და არც რადიო, ღამის გათევაში 3 მანეთსა და 20 კაპიკს კი ახდევინებენ.

ამაზე ადმინისტრატორს ვერ შევედავებით. არსებობს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც ორ-ადგილიან ნომერში კლიენტმა უნდა გადაიხადოს მთლიანი ღირებულება 3 მანეთი და 20 კაპიკი.

სასტუმროს ფინანსურ საქმიანობას თუ გადავხედავთ, ყველაფერი წესრიგში არც აქ არის. ჯერ კიდევ 1972 წელს სასტუმროს დირექტორმა გ. სხილაძემ ავეჯის შეკეთებისათვის 662 მანეთის ნაცვლად რატომღაც 2.815 მანეთი გადაიხადა. ხოლო ბუღალტერმა ლ. ყიფშიძემ ფინანსური დისციპლინის დარღვევათა აღსაკვეთად ზომები არ მიიღო, (ეს საქმე საგამომძიებლო ორგანოებამდეც მივიდა).

საქართველოს კპ ჭიათურის ქალაქკომის ბიუროს 1972 წლის 13 დეკემბრის დადგენილებაში ვკითხულობთ: „ცნობად იქნას მიღებული, რომ სასტუმროს დირექტორი გ. სხილაძე და ბუღალტერი ლ. ყიფშიძე საფინანსო დისციპლინის დარღვევებისათვის განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან".

აღმასკომის გადაწყვეტილებით სასტუმროს დირექტორად დაინიშნა შ. შეყილაძე, მაგრამ გ. სხილაძე კვლავ განაგრძობს მუშაობას. 1973 წლის 30 მარტს პარტიულმა კრებამ გ. სხილაძეს აღნიშნული დანაშაულისათვის საალრიცხვო ბარათში შეტანით საყვედურიც კი გამოუცხადა. ეს მცირე სასჯელი როდია, მაგრამ უპრინციპობამ ასე გააუფასურა ქალაქკომის ბიუროსა და აღმასკომის გადაწყვეტილებანი.

ფინანსური დისციპლინის დარღვევები კვლავ გრძელდება, მაგრამ პარტიულმა კრებამ გ. სხილაძეს და ლ. ყიფშიძეს მხოლოდ მითითება აკმარა.

ჭიათურის სასტუმროში უწესრიგობანი უნდა აღმოიფხვრას. სტუმარი სასტუმროს კმაყოფილი უნდა ტოვებდეს, სიამოვნებით უნდა იგონებდეს იქ გატარებულ დღეებს.

პ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის" საკ. კორ.

ცნობები ადგილობრივი კომიტეტებიდან

☐ თბილისი. კიროვის რაიონის სამრეწველო საწარმოებში სახალხო კონტროლის ჯგუფების და საგუშაგოების მიერ დებულებით მინიჭებული უფლებების გამოყენების მდგომარეობა განიხილა რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა. როგორც გამოირკვა, ჯგუფები და საგუშაგოები იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, ახორციელებენ ღონისძიებებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. რაიონის სახალხო კონტროლის ჯგუფებმა 1974 წლის განვლილ პერიოდში 1075 შემოწმება, რეიდი და დათვალიერება მოაწყვეს, რომლებშიც 1400-ზე მეტმა აქტივისტმა მიიღო მონაწილეობა. შემოწმებების შედეგად გამოვლინდა 14427 მანეთის გაფლანგვა-დატაცების ფაქტები, საიდანაც 9372 მანეთი ანაზღაურებულია.

☐ გორი. № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს სამეურნეო საქმიანობა შეამოწმა სახალხო კონტროლის გორის საქალაქო კომიტეტმა, რომელმაც სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევები გამოავლინა. აქ დებიტორულმა დავალიანებამ 115 ათასი მანეთი შეადგინა. საწარმო განიცდის ფინანსურ სიძნელეებს, დროულად ვერ ანაღდებს მიმწოდებლების ანგარიშებს, რის შედეგადაც სახელმწიფო ბანკმა მიმწოდებლების სასარგებლოდ 1.460 მანეთი ჯარიმა გადაახდევინა. ადგილი აქვს ფონდირებული ფასეულობებისა და არაკანონიერად პრემიების გაცემის ფაქტებს. ამ გზით გახარჯულია 2233 მანეთი, მათ შორის საწარმოს დირექტორმა ა. ომაძემ 518 მანეთი მიიღო. კომიტეტმა დაშვებული ნაკლოვანებებისა და უკანონო პრემიების სახით გაცემული სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის საწარმოს დირექტორ ა. ომაძეს და მთავარ ბუღალტერს რ. ივანოვს დააკისრა ერთი თვის ფულადი დარიცხვა.

☐ მაჰრა. ხორცკომბინატის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარის ა. ცარას ანგარიში სოციალისტური საკუთრების დაცვისა და გაფლანგვა-მფლანგველობის წინააღმდეგ ჩატარებული მუშაობის შესახებ ამას წინათ მოისმინა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა. აღინიშნა, სახალხო კონტროლის ჯგუფი და საგუშაგოები მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ ადმინისტრაციას და პარტიულ ორგანიზაციას მეურნეობის მართვის, უყაირათობის, სახალხო ქონების განიავების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ჯგუფის სახალხო კონტროლიორების მიერ გატარებული ღონისძიების შედეგად ხორცკომბინატში დაიზოგა 42 ტონა ხორცი და 21,3 ტონა პირობითი საწვავი.

☐ სიღნაღი. რაიონის კონტროლის კომიტეტმა განიხილა ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოსა და წნორის ავტოტექმომსახურების სადგურში ტექნიკის უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მდგომარეობა. როგორც აქ ითქვა, ობიექტებში ჯერ კიდევ გვხვდება ნაკლოვანებები. კომბინატის აგურის საჭრელ საამქროებში ცუდ მდგომარეობაშია და შესაკეთებელია ელექტროგაყვანილობა, მოძველებულია ნედლი აგურის გადასატანი ურიკები, რელსები, არ მუშაობს ტრანსპორტიორთა კომპლექსი. ავარიულ მდგომარეობაშია ბლოკის საამქროს სახურავი, დაზგებს არა აქვთ უსაფრთხო მუშაობისათვის დამცავი საშუალებანი. კომიტეტმა დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გვაპასუხეს — წერილის უკან ადამიანი დგას

აბაშა. (საქ. კორ). მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების ყურადღებით განხილვა და პასუხის დროულად გაცემა კარგად უნდა იყოს ორგანიზებული. ამაზე იმსჯელა სახალხო კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა მორიგ სხდომაზე. შემოწმების ობიექტები იყო რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველო, ქალაქ აბაშის და სოფელ ზანათის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები.

აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის სამმართველოში 131 განცხადებიდან 33 განცხადებაზე პასუხი ერთ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით გასცეს. საქალაქო საბჭოში 2.300 განცხადებიდან 1.136 განცხადება პასუხგაუცემელი დატოვეს. ზანათში დანიშნული არა აქვთ მშრომელთა მიღების დღეები.

მოქალაქეთა განცხადებების შემოწმების შედეგებს არ განიხილავენ საერთო კრებებზე, აღმასკომების სხდომებზე.

კონტროლის კომიტეტმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შესახვედრად

1974
შესრულების შემოწმების წელი

მასალა, ტრანსპორტი, მშენებელი

შევამციროთ საშენ მასალათა გადაზიდვის ხარჯები

სახალხო მეურნეობის განვითარების 1971–1975 წლების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 3-5 პროცენტით შემცირება. მშენებლობის ღირებულების ძირითადი ნაწილი საშენი მასალების წილად მოდის, ხოლო 26 პროცენტამდე ამ მასალების წარმოების ადგილებიდან მშენებლობამდე ტრანსპორტირების ხარჯებზე. ამიტომ მშენებლობის ღირებულების რეზერვების ძიებისას გვერდს ვერ ავუვლით საშენი მასალების ტრანსპორტირების ხარჯების სწორად განსაზღვრას.

ამჟამად მოქმედი ნორმებისა და წესების შესაბამისად სამშენებლო ორგანიზაციები საშენ მასალებში იხდიან ფასს, რომელიც უდრის მათი დამზადების ადგილებიდან (ქარხნები, კარიერები) გასაცემ საბითუმო ღირებულებისა და წარმოებიდან სამშენებლო მოედნამდე ტრანსპორტირების ხარჯების ჯამს. დანახარჯთა ამ ჯამს ეწოდება საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება. ჩვენი რესპუბლიკა ადგილობრივი საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ფასების განსხვავებათა მიხედვით დაყოფილია 11 ძირითად ზონად. აღნიშნული ფასების განსაზღვრას საფუძვლად დაედო რესპუბლიკის მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების პირობები. სხვა ორგანიზაციებს აქ ფასების გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ გარკვეული დასაბუთების საფუძველზე, შესწორებებით ან შეუსწორებლად.

სამწუხაროდ, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით გათვალისწინებული საშენი მასალების ტრანსპორტირების ხარჯები გაითვლილი არ იყო რაციონალური სატრანსპორტო სქემის მიხედვით, ანუ მასალების ღირებულებაში სწორად არ იყო განსაზღვრული სატრანსპორტო ხარჯები. აღსანიშნავია ისიც, რომ მშენებლობაში მოქმედებენ 1969 წლის ფასები და, რა სწორიც უნდა ყოფილიყო მაშინ, სატრანსპორტო ხარჯების განსაზღვრის სისტემის არასრულყოფილობის გამო, დღევანდელობას უკვე აღარ შეესაბამება.

თეორიულად ითვლება, რომ საშენი მასალების ფაქტიური ღირებულების გადახრა სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან შეიძლება დაბალანსებულ იქნას სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის ფინანსური გეგმების შედგენისას, მაგრამ პრაქტიკით დადგენილია, რომ ეს შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ მომავალი წლების გეგმების შედგენისას ზუსტად არ არის ცნობილი საშენი მასალების მიღების ყველა პირობა. საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიური ღირებულების შეუსაბამობა უარყოფითად მოქმედებს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობაზე. ნაწილი იღებს მათი საქმიანობისაგან დამოუკიდებელ მოგებას, მეორეს კი მოსდის ასევე დაუმსახურებელი ზარალი. მაგალითად, მოქმედი ფასების მიხედვით მარნეულის რაიონში მშენებარე ობიექტებზე ხრეშისა და ბალასტის მიწოდება გათვალისწინებულია ფოილოს (აზერბაიჯანის სსრ) კარიერიდან, ხოლო ქუთაისისა და მის ახლო მდებარე რაიონებისათვის ღორღის მიწოდება მოწამეთის კარიერიდან. ცხადია, მარნეულის რაიონის მშენებლობანი დაუმსახურებლად იღებენ მოგებას, რადგან დასახელებულ მასალებს ისინი იღებენ მარნეულიდანვე. ქუთაისისა და მისი მახლობელი რაიონებისათვის ღორღის თვითღირებულება მოწამეთის კარიერის დახურვის გამო გაიზრდება, რადგან მშენებლები იძულებული გახდებიან იგივე მასალა უფრო დაშორებული ადგილიდან შემოზიდონ.

თითქოს უცნაურია, მაგრამ რაც მეტია საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, მით უფრო ხელსაყრელია იგი სამშენებლო ორგანიზაციისათვის მაშინაც კი, როცა მიმწოდებელი იხდის ამ ღირებულებას. საშენი მასალების ტრანსპორტირების ხარჯების განსაზღვრის მანკიერი სისტემის გამო, არც ამ მასალების დამამზადებელი ორგანიზაცია, არც მისი გადამზიდველი და არც მომხმარებელი დაინტერესებული არ არიან, რომ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ფასებში შემცირდეს სატრანსპორტო ხარჯების წილი. რა თქმა უნდა, მშენებელი ორგანიზაცია ცდილობს საშენი მასალების მიზიდვაზე ნაკლები დანახარჯების გაღებას, ვიდრე ხარჯთაღრიცხვაშია გათვალისწინებული, მაგრამ ამ გზით მიღებული ეკონომიური ეფექტი მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას არ ცვლის. ამ მდგომარეობითაც უნდა აიხსნას, რომ საშენი მასალების სატრანსპორტო სქემის შედარებითი დაზუსტება წლობით ჭიანურდება. ადგილობრივი საშენი მასალების ამჟამად მოქმედი სახარჯთაღრიცხვო ფასების განსაზღვრას საფუძვლად უდევს მშენებელი სამინისტროების მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო სქემები.

აღნიშნული სქემების მიღებისას დაინტერესებული ორგანიზაციების ზეგავლენით თუ შეცდომებით დაშვებული იყო უზუსტობანი. მაგალითად, ბეტონისა და რკინაბეტონის ნაკეთობათა შეზიდვა ონის რაიონში ქუთაისიდან გათვალისწინებულია მარშრუტით: ქუთაისი-გორი-ცხინვალი-ონი. ქალაქ თბილისის მშენებლობებზე ღორღი უნდა მიიღონ მოწამეთიდან, ხოლო სილა შავი ზღვიდან და ა. შ. დაკანონებულ იქნა შემხვედრი გადაზიდვები.

იმისათვის, რომ საშენი მასალები იაფი დაუჯდეთ, მშენებლები ცდილობენ ისინი მიიღონ ახლომდებარე არაორგანიზებული წყაროებიდან. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ბევრ რაიონებში ინერტულ მასალებს იღებენ რიონის, ცხენისწყლის და სხვა მდინარეების ხეობებიდან, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ამ მასალებს ეზიდებიან მტკვრის, ლიახვის, ალაზნის, მაშავერას და სხვა მდინარეების ნაპირებიდან.

გარდა იმისა, რომ ყველაფერი ეს წარმოებს ბუნებრივი რესურსების გამოყენების კანონების უხეში დარღვევით, დაბალია ამ გზით მიღებული მასალების ხარისხიც. მათი გამოყენების შედეგად ადგილი აქვს დეფიციტური მასალების გადახარჯვას, ყალბ მიწერებს და სხვა. ერთი სიტყვით, ადგილობრივი საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ფასების განსაზღვრის არსებულ სისტემას ბევრი სერიოზული უარყოფითი მხარე აქვს.

ერთდაიმავე ქალაქსა თუ რაიონში, ერთდაიმავე მასალებსა და ნაკეთობებზე დაწესებული სხვადასხვა ფასები ხშირად იწვევს გაურკვევლობას, დამკვეთი და მოიჯარადრე ორგანიზაციების უკმაყოფილებასა და შენიშვნებს. მაგალითად, მახარაძის რაიონში 200 მარკის 1 კუბური მეტრი სასაქონლო ბეტონი სასოფლო მშენებლობის სამინისტროსათვის 20,6 მანეთი ღირს, ხოლო მშენებლობის სამინისტროსათვის — 19,4 მანეთი. გურჯაანში 1 კუბური მეტრი ხრეში სასოფლო მშენებლობის სამინისტროსათვის 7 მანეთი ღირს, ხოლო მშენებლობის სამინისტროსათვის 5,52 მანეთი. ანალოგიური მდგომარეობაა თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, რაიონული ერთეული ფასების მოქმედი კრებულებით ადგილობრივი საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ფასები დადგენილია მხოლოდ საქართველოს სსრ მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებისათვის. რესპუბლიკაში კი მშენებლობებს აწარმოებენ როგორც საკავშირო, ისე საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციები. ამ უკანასკნელთათვის საშენი მასალების ფასების გამოყენების საკითხის გადაწყვეტა მინდობილი აქვს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამტკიცებენ მშენებლობათა საპროექტო მოცემულობებს, ე. ი. დამკვეთ ორგანიზაციებს, რომელთა უმრავლესობას ფაქტიურად არ შეუძლია ამ საკითხში მინდობილი ფუნქციების შესრულება.

კაპიტალური მშენებლობის თვითღირებულების შემდგომი შემცირების მიზნით, გაითვალისწინა რა ადგილობრივი საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ფასების განსაზღვრის აქამდე არსებული ნაკლოვანებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მშენებლობის ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა დაამუშავა ადგილობრივ მასალებზე ერთიანი სახარჯთაღრიცხვო ფასების დადგენის სისტემა. ამ სისტემით სარგებლობის მარტივი სქემა ასეთია: მიმწოდებელი ორგანიზაცია — საშენი მასალებით მომარაგებელი ორგანიზაცია — საშენი მასალების მომხმარებელი ორგანიზაცია.

რესპუბლიკაში უნდა შეიქმნას ორგანიზაცია, სადაც მოხდება საშენი მასალებით ყველა სამეურნეო ორგანიზაციის მომარაგების ცენტრალიზაცია, სამშენებლო ორგანიზაციები მშენებლობის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ ადგილობრივი მასალების ერთიან ღირებულებას გადასცემენ მომარაგებელსა და უკვეთავენ სათანადო მასალებს. მომარაგებელი ორგანიზაცია თავის მხრივ, მოთხოვნილ მასალებზე განაცხადს აძლევს მიმწოდებელ ორგანიზაციას, ეს უკანასკნელი კი განაცხადის საფუძველზე მასალებს აწვდის მომხმარებელს.

მომმარაგებელი ორგანიზაცია დამამზადებელ-მიმწოდებელს უხდის მშენებლობისათვის მიწოდებული მასალების საბითუმო და სატრანსპორტო ღირებულებათა ჯამს, ანუ ამ მასალებზე გაწეული ხარჯების ფაქტიურ ღირებულებას. განსხვავება სამშენებლო მოედანზე მიზიდული საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასა და ფაქტიურ ღირებულებას შორის თავს იყრის მომმარაგებელი ორგანიზაციის განკარგულებაში. ღირებულებათა აღნიშნული განსხვავება მით უფრო მეტია, რაც უფრო რაციონალური იქნება ტვირთზიდვის სქემა. სწორედ ამიტომ მომმარაგებელი ცდილობს ისე წარმართოს საქმიანობა, რომ მშენებლობებისათვის საშენი მასალების მიწოდება ხორციელდებოდეს ყველაზე ახლოს მდებარე ბაზებიდან, ხელსაყრელი სატრანსპორტო საშუალებებით. მომმარაგებელი ორგანიზაციის ხელში თავს იყრის ყველა მონაცემი იმისათვის, რომ ზუსტად განსაზღვროს სამშენებლო მოედანზე მიზიდული მასალის ყოველ ერთეულზე გაწეული ფაქტიური ხარჯები.

საანგარიშო პერიოდის შედეგების გაანალიზების შედეგად საშენი მასალების სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განმსაზღვრელ კომპეტენტურ ორგანიზაციას ეძლევა საშუალება, არსებული ფასების კოეფიციენტის დაწესებით უზრუნველყოს სახარჯთაღრიცხვო და ფაქტიური ღირებულების დამთხვევა. დასახელებული სისტემის დანერგვა გამორიცხავს იმ შეცდომებს, სიძნელეებს, გაუგებრობებსა და დამახინჯებებს, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ. ამასთან, ყველა მშენებელი ორგანიზაციისათვის შეიქმნება ერთნაირი პირობები.

ცხადია, აღნიშნული ღონისძიების გატარება სერიოზულ მომზადებას მოითხოვს. მშენებლობაში ადგილობრივი საშენი მასალების ერთიანი ფასების გამოყენების დასანერგავად ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკებში 1969 წლიდან ეწყობა ექსპერიმენტი. როგორც მონაცემები ცხადყოფენ, ექსპერიმენტმა იმედი გაამართლა. სატრანსპორტო ხარჯების ეკონომიურობამ სახარჯთაღრიცხვოსთან შედარებით ლატვიაში შეადგინა 6 პროცენტი, ხოლო ესტონეთში — 8 პროცენტი.

დასახელებული ექსპერიმენტის შედეგების გაანალიზებისას საკავშირო სახმშენმა აღნიშნა, რომ ადგილობრივ საშენ მასალებზე ერთიანი ფასების დაწესებამ და ამ მასალებით მშენებლობის მომარაგების ახალი სისტემის დანერგვამ განამტკიცა სამშენებლო ორგანიზაციების სამეურნეო მდგომარეობა, მოაწესრიგა მშენებლობის მატერიალური მომარაგება და გაამარტივა მშენებლობათა ხარჯთაღრიცხვების შედგენისა და მასალებზე ანგარიშსწორების საბუღალტრო დოკუმენტების შედგენა. ამასთანავე შექმნა ხელშემწყობი პირობები მშენებლობის დოკუმენტაციის დამუშავებაში თანამედროვე გამოთვლითი საშუალებების ფართოდ გამოყენებისათვის.

დასახელებული მოძმე რესპუბლიკების მიერ ადგილობრივ საშენ მასალებზე ერთიანი სახარჯთაღრიცხვო ფასების გამოყენებისა და ამ მასალებით მშენებლობის მომარაგების ახალი სისტემით მუშაობის შედეგად მიღებული გამოცდილების გასაზიარებლად გასული წლის ბოლოს რიგაში ჩატარდა საკავშირო თათბირი. თათბირმა დადებითად შეაფასა ექსპერიმენტით მიღებული შედეგები.

კარგი იქნება, თუ აღნიშნულ საკითხზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ ჩვენი რესპუბლიკის სამშენებლო, საგეგმო, მშენებლობის მომმარაგებელი და დამფინანსებელი ორგანიზაციები. ისე ამ საკითხის მოგვარება შეუძლებელია.

დ. გუგავა,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ტურიზმი ადამიანებს აახლოებს

ამერიკის შეერთებული შტატების ტურისტული ინდუსტრიის ხელმძღვანელები თბილისში

◆

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს მოწვევით ჩვენს ქვეყანაში სტუმრად არის ამერიკის შეერთებული შტატების ტურისტული ინდუსტრიის ხელმძღვანელთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ტურიზმის საკითხებში კ. ლინგჰორნ უოშბორნი. ეს ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი დელეგაციაა ტურიზმის დარგში, რომელიც ოდესმე სწვევია სსრ კავშირს.

მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში ყოფნის შემდეგ 22 სექტემბერს ამერიკელი სტუმრები ჩამოფრინდნენ თბილისში. ჯგუფში შედიან „ჰილტონ ინტერნეშენლის" პრეზიდენტი კურტ რ. სტრენდი, „ამერიკენ ექსპრესის" აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ჯეიმს ა. ჰენდერსონი, „მარიოტ კორპორეიშენის" პრეზიდენტი ჯ. ვილარდ მარიოტი, „ჰოლიდეი ინის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უილიამ ბ. უოლტონი, ამერიკის შეერთებული შტატების ტურისტული აგენტების საზოგადოება „მაკ-მალენ ტრეველ სერვისის" პრეზიდენტი რობერტ ლ. მაკ-მალენი, „ტრეველ კორპორეიშენის" პრეზიდენტი პიტერ უბეროთი, „ბექტელ კორპორეიშენის" დირექტორი ჩარლზ დრეინი, ამერიკა-საბჭოთა კავშირის სავაჭრო-ეკონომიური საბჭოს პირველი ვიცე-პრეზიდენტი ჯონ ტ. კონორ-უმცროსი. „ამერიკენ ექსპრესის" თავმჯდომარის თანაშემწე ჰანსენ სტურმი.

ჩამოსვლის დღეს ამერიკელი სტუმრები მათთვის საინტერესო საკითხებზე ესაუბრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსს ლ. მატარაძეს. იმავე დღეს მათ დაათვალიერეს თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი.

ორშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების ტურისტული ინდუსტრიის ხელმძღვანელები მიიღო თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლობჟანიძემ. ისინი ეწვივნენ პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

გოგონების მუსიკალური ანსამბლის „მზიურის" მოსმენის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ კ. ლინგჰორნ უოშბორნმა განაცხადა:

სსრ კავშირში ჩამოსვლამდე მეგონა, რომ ხალხთა დაახლოებას უმთავრესად ხელს უწყობს ტურიზმის განვითარება. ახლა დავრწმუნდით, რომ ამ მიზანს ბავშვებიც უწყობენ ხელს.

23 სექტემბერს ამერიკის დელეგაცია მოსკოვს გაფრინდა.

(საქინფორმი).

მსოფლიო დღეს

დღის წესრიგი დამტკიცდა

გენერალური ასამბლეის სესიაზე

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესის კორ.). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 29-ე სესიამ დაამთავრა მუშაობის მოსამზადებელი ეტაპი და ორ პლენარულ სხდომაზე დაამტკიცა დღის წესრიგის 110 საკითხი და გაუნაწილა ისინი სამუშაო კომიტეტებს.

მიღებულია გადაწყვეტილება უშუალოდ პლენარულ სხდომებზე განიხილონ ისეთი მწვავე საერთაშორისო პრობლემები, როგორიცაა პალესტინის საკითხი, ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა და კვიპროსის საკითხი, იმის გამო, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ და სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვენ.

საბჭოთა წინადადებას, რომ „აიკრძალოს ბუნებრივ გარემოსა და კლიმატზე ზემოქმედება სამხედრო და სხვა მიზნებით, რომლებიც შეუთავსებელია საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის, ხალხის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის ინტერესებთან", რომელიც ერთსულოვნად მოიწონეს, განიხილავენ პოლიტიკურ საკითხთა და უშიშროების საკითხთა პირველ კომიტეტში, რადგან იგი მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობის განმტკიცებისა და განიარაღების პრობლემის გადაჭრის საკითხებთან.

უკვე მუშაობის დაწყებით ეტაპზე გამოირკვა, რომ გენერალური ასამბლეის მონაწილეებს მოელით ბრძოლა იმ ძალებთან, რომლებიც ცდილობენ წინააღუდგნენ დაძაბულობის შენელებას. მაგალითად, ისრაელის დელეგაციამ დღის წესრიგის განხილვა გამოიყენა იმისათვის, რომ თავს დასხმოდა არაბულ ქვეყნებს და განსაკუთრებით პალესტინის არაბ ხალხს და ცდილობდა დღის წესრიგიდან ამოეღოთ პალესტინის საკითხი. მაგრამ იგი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა და საკადრისი პასუხი მიიღო.

გამოჩნდნენ კვიპროსის საკითხის განხილვის მოწინააღმდეგეებიც. მათი წინადადება, რომ შემოიფარგლონ ამ პრობლემის მხოლოდ უშიშროების საბჭოში განხილვით, დელეგატებმა უყურადღებოდ დატოვეს.

პეკინის წარმომადგენელმა თავის გამოსვლაში პროცედურულ საკითხებზე გამოიყენა ანტისაბჭოთა ცილისწამებისათვის, ლაყბობისათვის „ორ ზესახელმწიფოზე" და მსგავსი ჭორებისათვის, რომლებიც უკვე დიდი ხანია მობეზრდათ გენერალური ასამბლეის სესიების მონაწილეებს.

ორშაბათს, 23 სექტემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 29-ე სესიაზე დაიწყება ზოგადი დისკუსია.

მდგომარეობა კვიპროსში

ნიკოზია, 23 სექტემბერი. (საკდესი). კვიპროსში დამთავრდა ბერძენთა და თურქთა მხარეებს შორის ავადმყოფი და დაჭრილი ტყვეების გაცვლა. იგი მიმდინარეობდა საერთაშორისო წითელი ჯვრის კონტროლით კვიპროსის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გ. კლირიდისსა და თურქთა თემის ლიდერის რ. დენქტაშს შორის მიღწეული მოლაპარაკების შესაბამისად. ორშაბათს, 23 სექტემბერს, აგრეთვე გ. კლირიდისისა და რ. დენქტაშის მოლაპარაკების შესაბამისად დაიწყება კუნძულზე მომხდარი საომარი მოქმედების დროს დატყვევებულ დანარჩენ სამხედრო მოსამსახურეთა გაცვლა. მათი რიცხვი, საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, 4 ათას კაცს აღემატება.

უკანასკნელ დღეებში კვიპროსში შედარებით მშვიდი ვითარება იყო, ცეცხლის შეწყვეტის დარღვევის შემთხვევები არ აღინიშნებოდა.

კვიპროსის მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყანაში კანონიერების განმტკიცებასა და წესრიგის აღდგენას. გუშინ პოლიციის ხელმძღვანელი შემადგენლობის თათბირზე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გ. კლირიდისმა, რომელმაც მოუწოდა მათ ყოველმხრივ დაეხმარონ მთავრობას ამ ღონისძიებების განხორციელებაში. მან ხაზი გაუსვა, რომ ყოვლად შეუწყნარებელია პოლიციის რიგებში იმ პირთა ყოფნა, რომლებიც ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან ან ხელს აფარებენ მას. ამასთან დაკავშირებით გ. კლირიდისმა თქვა, რომ უნდა დააპატიმრონ ის პირნი, რომლებიც უკანონოდ ფლობენ იარაღს.

კაირო, 23 სექტემბერი. (საკდესი). ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ვიზიტით მყოფმა კვიპროსის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა კმაყოფილება გამოთქვა პრეზიდენტ ა. სადათთან მოლაპარაკების შედეგების გამო. მან პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ეგვიპტე თანამიმდევრულად უჭერს მხარს კვიპროსის ერთიანობასა და სუვერენიტეტს, მოითხოვს მისი ტერიტორიიდან უცხოეთის მთელი ჯარების გამოყვანას. კვიპროსის პრეზიდენტმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც კვიპროსს უწევს მიუმხრობელი და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა.

მაკარიოსმა რწმენა გამოთქვა, რომ ახლო მომავალში იგი დაბრუნდება კვიპროსში და რომ ამ მომენტისათვის კუნძულიდან გაყვანილი იქნება ეროვნული გვარდია, რომელიც საბერძნეთს ემორჩილებოდა.

რასისტები თარეშობენ

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი ნ. სტუნსკი გვატყობინებს:

ბოსტონის ქუჩებში, სადაც მეორე კვირაა გრძელდება რასობრივი მღელვარება, გაჩნდნენ კუკლუქსკლანელები და ამერიკელი ნაცისტები.

„კუ-კლუქს-კლანისა" და თეთრკანიანთა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის" ჯგუფები აქ ქვეყნის სამხრეთ შტატებიდან ჩამოვიდნენ, რათა სათავეში ჩასდგომოდნენ ადგილობრივ რასისტთა გამოსვლებს, რომლებიც ფუშავენ მეცადინეობას სკოლებში, სადაც, სასამართლო ინსტანციების დადგენილების თანახმად, ერთად უნდა ისწავლონ თეთრკანიანთა და ზანგთა შვილებმა. „კუ-კლუქს-კლანის" თვითმარქვია „ეროვნულმა დირექტორმა" დ. დიუკმა, რომელიც ლუიზიანიდან ჩამოვიდა, მოითხოვა ბოსტონის მერთან შეხვედრა „თეთრკანიანი მოსახლეობის მოქალაქეობრივ უფლებათა დარღვევის განსახილველად". მერის რეზიდენციასთან ნაცისტებმა გაშალეს თავიანთი დროშა, რომელზეც წარწერილია „ძალაუფლება — თეთრკანიანებს". ამასთან მათ ავტობუსს გულმოდგინედ იცავდნენ პოლიციის ავტომანქანები.

შოვინისტური ტერორისტული ელემენტების მხარდაჭერით შთაგონებული რასისტები გააქტიურდნენ. ამის შედეგად რამდენიმე სკოლა დახურული რჩება და იქ მეცადინეობა არ ტარდება. ბოსტონის აღმოსავლეთ უბნებში მოხდა შეტაკება რასისტებსა და ზანგ მშობლებს შორის, რომლებიც ჩამოვიდნენ თავიანთი შვილების დასაცავად რასისტი ტერორისტების თარეშისაგან. იმის შედეგად, რომ რასისტთა ბრბოები თავს დაესხნენ სკოლის ავტობუსებს, რომლებმაც ზანგი მოსწავლეები მიიყვანეს „თეთრკანიანთა" სკოლებში, ხუთი ბავშვი დაშავდა.

ბოსტონის ამბები ამერიკის საზოგადოებრიობის ფართო ფენების ყურადღების ცენტრშია. ამ ქალაქში, სადაც 650 ათასი კაცი ცხოვრობს, მწვავე რასობრივი კონფლიქტის შედეგზე ბევრად არის დამოკიდებული, მოახერხებენ თუ არა, ბოლოს და ბოლოს, მოსპობენ ამერიკის შეერთებული შტატების სკოლებში რასობრივი სეგრეგაციის სამარცხვინო სისტემა, რომელიც დღემდეც კი შენარჩუნებულია როგორც ქვეყნის ჩრდილოეთში, ისე სამხრეთშიც.

მემარცხენე ქალების წარმატება

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ მემარცხენე ძალების წარმატებით აღინიშნა საფრანგეთის სენატის არჩევნები. არჩევნების შედეგად სენატი, რომელშიც 283 ადგილია, ერთი მესამედით განახლდა. არჩევნები მოეწყო მეტროპოლიის 30 დეპარტამენტში, აგრეთვე რეიუნიონში, ახალ კალედონიასა და აფარებისა და ისის ტერიტორიაზე. ახალი ცხრა წლის ვადით არჩეულია 88 სენატორი. გარდა ამისა, დაინიშნა ორი სენატორი, რომლებიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ფრანგების წარმომადგენლები იქნებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ ორი ახალი ადგილი მოიპოვა იზერისა და ნორის დეპარტამენტებში.

თავისუფლება ჩილელ პატრიოტებს!

საყოველთაო სოლიდარობა

მთელ მსოფლიოში ფართოდ გაიშალა ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობა. პროგრესული კაცობრიობის ამ მოძრაობაში განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, განაცხადა ფინეთის გაზეთ „ტიედონანტაიისათვის" მიცემულ ინტერვიუში ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სენატორმა ალეხანდრო ტორომ. მან აღნიშნა, რომ საფრთხეშია ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანის სიცოცხლე, რომელიც საპყრობილეში დიდ მამაცობასა და შეუპოვრობას იჩენს. ა. ტორომ ხაზი გაუსვა: სოლიდარობის საერთაშორისო მოძრაობის მთავარი ამოცანაა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ხუნტის დილეგებში დამწყვდეული ლუის კორვალანისა და სხვა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლების კამპანია. თითქოსდა ამ მოწოდების პასუხად ტელეგრაფს ახალი ცნობები მოაქვს ჩილელ პატრიოტებთან სოლიდარობის აქციების შესახებ, რომლებიც გუშინ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიმართა.

ჰავანა. კუბაში მასობრივი მიტინგებითა და კრებებით დამთავრდა ფაშისტური ხუნტის წინააღმდეგ ჩილელი ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობის კვირეული. ამ მიტინგებსა და კრებებში მონაწილეობდა ქვეყნის ყველა პროვინციის ასი ათასობით მშრომელი.

კუბელებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს ჩილელი პატრიოტების სამართლიან საქმეს, გადაჭრით დაგმეს ფაშისტი მეამბოხეები და მტკიცე რწმენა გამოთქვეს, რომ მოძმე ჩილელი ხალხი გაიმარჯვებს რეაქციის ძალებზე.

მეხიკო. მექსიკის კონგრესის დეპუტატთა პალატამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვა, რომ ჩილეს სამხედრო ხუნტამ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს გადატრიალების შემდეგ საპყრობილეებში ჩამწყვდეული პარლამენტის წევრები. მექსიკის კონგრესმა პატივი სცა ჩილეს პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ხსოვნას.

ვენა. დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ლუის კორვალანი, კლოდომირო ალმეიდა, ჩილეს სახალხო ერთიანობის ბლოკის სხვა ხელმძღვანელები და ყველა პოლიტიკური პატიმარი — მოითხოვეს მასობრივი მიტინგის მონაწილეებმა, რომელიც აქ გაიმართა ჩილესთან სოლიდარობის ავსტრიის ფრონტის მოწოდებით.

მიტინგის მონაწილეთა მიერ მიღებული რეზოლუცია შეიცავს მოწოდებას ავსტრიის ყველა პოლიტიკური პარტიისადმი, დემოკრატიული ორგანიზაციისა და პროფკავშირისადმი მოსთხოვოს ჩილელ ხელისუფლებს შეწყვიტონ ქვეყანაში ძალადობა და ტერორი, აღადგინონ კანონიერი უფლებანი და თავისუფლებანი, შეწყვიტონ დემოკრატთა სასამართლო დევნა.

მიტინგში მონაწილეობდა სალვადორ ალიენდეს ქვრივი ორტენსია ბუსი დე ალიენდე.

(საკდესი).

ფოტოინფორმაცია

ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში მშრომლები ხმას იმაღლებენ ჩილეს ფაშისტური ხუნტის ტერორისა და თარეშის წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ ჩილეში თავისუფლებისა და დემოკრატიის აღდგენას.

სურათზე: ლონდონის მცხოვრებლები ჩილელ პატრიოტებთან სოლიდარობის დემონსტრაციაზე.

სურათი ინგლისურ გაზეთ „მორნინგ სტარიდან".

23 სექტემბერი

ტელეტაიპის ლენტიდან

მარსელის ბაზრობაზე

● **მარსელი,** (საკდესი). **მარსელის 50-ე საიუბილეო საერთაშორისო სავაჭრო ბაზრობაზე გაიმართა საბჭოთა კავშირის დღე.** ამ მოვლენამ დამთვალიერებელთა დიდი ყურადღება მიიპყრო სსრ კავშირის პავილიონისადმი, სადაც თავის პროდუქციას უჩვენებენ მთელი რიგი საბჭოთა საგარეო-სავაჭრო გაერთიანებანი. აქ წარმოდგენილია პროდუქციის ფართო ასორტიმენტი — დაწყებული გიგანტური ლითონსაჭრელი ჩარხებით და ტრაქტორებით და დამთავრებული ელექტრონული მრეწველობის პროდუქციით.

გამოფენაზე დაიდო რამდენიმე დიდი სავაჭრო გარიგება.

აფეთქება ჰიუსტონში

● ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). მძლავრი აფეთქება მოხდა ქალაქ ჰიუსტონის (ტეხასის შტატი) სახარისხებელ სადგურში. აფეთქებისა და მისგან გამოწვეული ხანძრის შედეგად დაშავდა ასამდე კაცი, ბევრი მათგანი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში.

აფეთქების მიზეზი ჯერჯერობით გამოურკვეველია, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ რკინიგზის ერთ-ერთ ვაგონში, რომელიც სადგურში იდგა, სამხედრო რაკეტები ყოფილა. ხანძარი ჩააქრეს მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ. ახლომდებარე უბნებიდან გახიზნეს სამი ათასამდე კაცი. აფეთქების ტალღამ მინები ჩალეწა სახარისხებელი სადგურიდან 8 კილომეტრ რადიუსში.

გრიგალის მსხვერპლნი

სან-ხოსე. (საკდესი). ცენტრალურ ამერიკას თავს დაატყდა მძლავრი გრიგალი „ფიფი", რომელსაც თან ახლდა კოკისპირული წვიმები. დროდადრო ქარის სიჩქარე საათში 210 კილომეტრს აღწევდა. ყველაზე მეტად გრიგალმა ჰონდურასი დააზარალა. როგორც იუწყება ჰონდურასის გრიგალის შედეგების ლიკვიდაციის ეროვნული კომიტეტი, აქ დაიღუპა სულ ცოტა 2.800 კაცი, 7 ათასზე მეტი კი უგზოუკვლოდ დაიკარგა. მთელი ქალაქები და დაბები დაიტბორა, განადგურდა ბანანის პლანტაციები, ბრინჯისა და სხვა კულტურების ნათესები, წყალმა წალეკა გზები, დაირღვა კავშირგაბმულობა და ენერგომომარაგება. გვატემალაში გრძელდება პუერტო-ბარიოსის ნავსადგურისა და ქვეყნის ზოგიერთი სხვა იმ რაიონის მცხოვრებთა ევაკუაცია, რომლებსაც წყალდიდობის საფრთხე ემუქრებათ.

ბაზრობა პოზნანში

● ვარშავა, (საკდესი). პოლონეთის ქალაქ პოზნანში დღეს კვლავ გაისმის ლაპარაკი მსოფლიოს მრავალ ენაზე. აქ გაიხსნა ფართო მოხმარების საქონლის ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობა „ტაკონ-74".

პოზნანის ბაზრობა მეტად პოპულარულია, და წელს ამ ბაზრობაზე საქონელს უჩვენებს უცხოეთის სამი ათასი ფირმა.

საბჭოთა კავშირი პოზნანის ბაზრობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილეა. „ინტერმაშის" ფარგლებში სსრ კავშირი საზღვარგარეთელ მყიდველებს სთავაზობს სართავ-საქსოვ და საფეიქრო დაზგებს, ფეხსაცმლის დასამზადებელ მანქანებს, ამომსახავ ავტომატებს.

ამბები და ფაქტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

უცხოური კალეიდოსკოპი

12 ათასი წლის წინათ

არგენტინის დედაქალაქიდან 2.700 კილომეტრის დაშორებით, შუა პატაგონიაში, მეცნიერთა ჯგუფმა პროფესორ აუგუსტო კარდიჩის ხელმძღვანელობით აღმოაჩინა ადამიანის უძველესი სადგომი. მრავალრიცხოვან გამოქვაბულებში აღმოჩნდა დიდი კულტურული ფენა. ანალიზის თანამედროვე საშუალებებით დადგინდა დასახლების ასაკი: 12 ათასი წელი. როგორც აუგუსტო კარდიჩი ფიქრობს, ამ ადგილების ბინადარნი იკვებებოდნენ მხოლოდ 10 ათასი წლის წინათ გადაშენებული ამერიკული ცხენისა და გუანაკოს (ლამას ერთ-ერთი სახეობა) ხორცით.

●

მოითხოვეს ნაპოლეონის დროინდელი ვალი

როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი" იუწყება, შვეიცარიის პატარა თემის სას-პიერის მერიამ, თავისი ფინანსური სიძნელეების დაძლევა სცადა იმით, რომ მოითხოვა... ნაპოლეონ პირველის დროინდელი ვალები. 1800 წელს მან არაერთხელ მიმართა თემის მცხოვრებთ დახმარებისათვის, როცა საფრანგეთის არმია სენ-ბერნარის უღელტეხილზე გადადიოდა. მხედართმთავრის ვალმა 30 ათასი ფრანკი შეადგინა. გასული თითქმის ორი საუკუნის მანძილზე პროცენტს პროცენტი ემატებოდა და, როგორც გამოიანგარიშეს, 1974 წლისათვის თანხამ, არც მეტი არც ნაკლები, 759 მილიონ ფრანკს მიაღწია. თუმცა თემი თანახმაა მას თავდაპირველი თანხა 30 ათასი ფრანკი დაუბრუნონ.

●

წიგნი... უგემურ კერძებზე

„რა კერძები დავამზადოთ იმ სტუმრებისათვის, რომლებიც არ გინდათ, რომ მეორეჯერ გესტუმროთ", — ასეთი უცნაური სახელწოდების წიგნი გამოსცა ამერიკის საკმაოდ ცნობილმა მწერალმა ქალმა ჯილ ფრეიერმა. ამერიკელმა დიასახლისებმა მიიღეს ასი რეცეპტი, რომელთა მიხედვით დამზადებული კერძები გარეგნულად საკმაოდ მიმზიდველია, მაგრამ სრულიად უგემური და გულისამრევი. საგულისხმოა, რომ ეს წიგნი შეერთებულ შტატებში ბესტსელერად იქცა.

●

„ძვირი" მონეტა

ერთცენტიანი მონეტა ამერიკის ხაზინას მძიმე უღლად დააწვა. განუწყვეტლივ მზარდი ინფლაციის შედეგად ამ მონეტამ, რომელიც შეიცავს 95 პროცენტ სპილენძსა და 5 პროცენტ თუთიას, გადააჭარბა თავის ღირებულებას. ამასთან დაკავშირებით ზარაფხანამ შეწყვიტა ერთცენტიანი მონეტების გამოშვება. კონგრესის საბანკო და სავალუტო საკითხების კომისიამ წამოაყენა წინადადება ერთცენტიან მონეტებში შეამცირონ სპილენძის შემცველობა, რათა გაათანაბრონ მისი თვითღირებულება და ფულადი ღირებულება.

ახალი ამბების სააგენტოს მასალებიდან.

მსოფლიო დღეს მსოფლიო დღეს მსოფლიო დღეს

საქართველოს მთა-ბარში

სტუმარი პოლონეთიდან

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). ქართული, გრძელხორთუმა ფუტკრის მუხურის სახელმწიფო ჯიშსაშენი მსოფლიოს ბევრ სახელმწიფოშია ცნობილი, მათ შორის პოლონეთშიც. აქ, მუხურში, სტუმრად იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ლიუბლინის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის დოცენტი, პოლონელ მეფუტკრეთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი იან ვოზნიცა. სტუმარმა დაათვალიერა საფუტკრეები, მაღალი შეფასება მისცა ქართულ ფუტკარს, რომელიც, როგორც მან აღნიშნა, კარგად შეეგუა პოლონურ მიწას და მისი თვითეული ოჯახი თურმე ხშირად იძლევა 30-40 კილოგრამ სასაქონლო თაფლს.

პოლონელი სტუმარი ჩვენი ფუტკრის დიდი დამფასებელია. მას გამოქვეყნებული ჰქონდა წერილები ქართულ ფუტკარზე პოლონურ, ჩეხოსლოვაკურ და გერმანულ ჟურნალებში. წელს პოლონელ მეფუტკრეებს სურთ მიიღონ 1.000 ქართული ფუტკრის დედა ფუტკარი.

ტურისტული მარშრუტით

ონი. (საკ. კორ.). ჩორდელი მებარიტეები დიდ ინტერესს იჩენენ ტურიზმისადმი. ამ ზაფხულს ბარიტის გამამდიდრებელი ფაბრიკის ტექნოლოგმა ვ. ჯუჯიმაშვილმა თავისი შვებულება ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში გაატარა და, მდიდარი შთაბეჭდილებით დაბრუნდა. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს ირის სასოფლო კლუბში ვ. ჯუჯიმაშვილმა მოუთხრო მოძმე ქვეყნების სახალხო მეურნეობის მიღწევებზე, ფოტოსურათების საშუალებით გააცნო ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ღირსშესანიშნავი, ისტორიული ადგილები.

უფრო ადრე კი იტალიაში იმოგზაურა ინჟინერმა დ. მეტრეველმა, ხოლო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქები ინახულეს ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს მუშაკებმა, გ. ბერელიძემ, ჯ. მაჩაიძემ, ქ. ჯობეჯიშვილმა და სხვებმა.

კონცერტები მაღალმთიან საძოვრებზე

ზუგდიდი. (საკ. კორ.). ნაყოფიერად მუშაობს ზუგდიდის სარაიონო კულტურის სახლის აგიტმხატვრული კოლექტივი. ამ კოლექტივის წევრები ხშირად მართავენ კონცერტებს ზუგდიდის, წალენჯიხის და მესტიის კოლმეურნეობების მშრომელებისათვის, ისინი კონცერტებს მართავენ ჩაის პლანტაციებში, მწყემსებთან მაღალმთიან საძოვრებზე.

ამას წინათ აგიტმხატვრულმა ბრიგადამ ვ. გერლიანის, ზ. ქადარიას, გ. ჯანაშიას, ქ. კოდუას და მ. ჯაბუას შემადგენლობით, რომელსაც სარაიონო კულტურის სახლის დირექტორი ვ. კორკელია ხელმძღვანელობდა, გადაწყვიტა მაღალმთიან სვანეთში, ვანის მთის საძოვრებზე წასულიყო მეცხოველეებისათვის კონცერტის გასამართავად. ხაიშამდე ბრიგადის წევრებმა ავტობუსით იმგზავრეს, შემდეგ მთისკენ საცალფეხო გზას ცხენებით გაუდგნენ და ვანის მთაზე ავიდნენ. აქ არის ზუგდიდის რაიონის სოფლების ინგირის, რიყის, კოლხიდის, ტყაიას, ჩხორიის, ჭკადუაშის, ცაიშის, ოქტომბრის, კორცხელის, აგრეთვე მესტიის რაიონის კოლმეურნეობების საძოვრები.

აგიტმხატვრულმა ბრიგადამ მწყემსებს გაუმართა კონცერტი, შემდეგ კი გადასცა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, ახალი ჟურნალ-გაზეთები.

ათეისტური საღამო

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). ფერიის სასოფლო კლუბში მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო.

იურიდიულ, რელიგიურ, სამედიცინო და საერთაშორისო საკითხებზე უპასუხეს აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროს კონსულტანტმა ზ. ჟღენტმა, ხელვაჩაურის რაიკომის პარტკაბინეტის გამგემ ი. ჯიორბელიძემ, ექიმმა ლ. თოიძემ.

დასასრულ დრამატულმა წრემ წარმოადგინა ათეისტური სპექტაკლი „ჯადო“.



აქ იღებენ ახალ ფილმს

ორსერიიან ფილმს, რომელსაც აფხაზეთში იღებს სვერდლოვსკის ტელესტუდია, პირდაპირი კავშირი აქვს ავტონომიურ რესპუბლიკასთან. ფილმი მაყურებელს გააცნობს მათ თანამემამულეს — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ევდოკია მუხინას, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში რადისტ-მზვერავად იყო გერმანელების ზურგში.

დუსია მელნიკოვას როლს (ასე ჰქვია ფილმში ევდოკია მუხინას) ასრულებს ირინე გრიშინა, რომელიც სვერდლოვსკის თეატრალურ სასწავლებელს ამთავრებს. ეს მისი მეორე გამოსვლაა კინოში. ფილმში „ჩვენი ანი“, რომელიც გორკის სახელობის კინოსტუდიამ დადგა, იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს.

გადამღებ მოედანზე ხშირად მოდის ყოფილი მზვერავი, იგი კონსულტაციას უწევს რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს იაროპოლკ ლაპშინს, რომელსაც მაყურებელი იცნობს მის მიერ შექმნილი ფილმებით „უგრიუმ-მდინარე“, „პრივალოვის მილიონები“, „თამაში წესების გარეშე“ და მთავარ ოპერატორს იგორ ლუკშინს. სცენარი დაწერა ცნობილმა კინოდრამატურგმა გრიგოლ კოლტუნოვმა ფილმის გმირის ევდოკია მუხინას მოთხრობის „რვა ხანტიმეტრის“ მიხედვით.

სურათებზე: ქვემოთ მარცხნივ — კადრი მომავალი ფილმიდან. მამა — მსახიობი პეტრე ჩერნოვი, და დუსია მელნიკოვა — მსახიობი ირინე გრიშინა; ქვემოთ მარჯვნივ — გადასაღებ მოედანზე ირინე გრიშინა, ევდოკია მუხინა და რეჟისორი იაროპოლკ ლაპშინი; ზემოთ — მსახიობი ი. გრიშინა ათვალიერებს „სოვეტსკი ეკრანს“ შესვენების დროს.

ი. ჟოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

როცა ფიგურები გამოცოცხლდნენ

მეოთხე პარტიის წინ დიდ ინტერესს იწვევდა საკითხი, რით შეცვლიდა შავებით მოთამაშე კორჩნოი სიცილიურ დაცვას, რომელმაც ასე უმტყუნა მას. კორჩნოის, ცხადია, აღარ შეეძლო „დრაკონის ვარიანტის“ გამეორება, ამიტომ მან ფრანგულ დაცვას მიმართა, რომელიც დეტალურად აქვს დამუშავებული და საკმაოდ ხშირადაც იყენებს.

კარპოვი დილემის წინაშე იდგა: მიემართა მწვავე სისტემისათვის ფრანგული დაცვის წინააღმდეგ ან მკაცრი პოზიციური სტილით ეთამაშა (ე. წ. „ტარაშის ვარიანტი“). ახალგაზრდა პრეტენდენტმა ტარაშის ვარიანტი არჩია. ამ შემთხვევაში შავები შევიწროვებულ, მაგრამ მტკიცე პოზიციას იღებენ. ითვლება, რომ კარპოვს განსაკუთრებით ეხერხება ასეთ მდგომარეობაში თამაში. ლაზიერების გაცვლის შემდეგ ახალგაზრდა გროსმაისტერმა ერთგვარი უპირატესობა მიიღო და მეთოდურად შეუტია შავების სუსტი პაიკის გარემოცვას. ამ მომენტში მიმომხილველები მოელოდნენ, რომ კორჩნოის ხანგრძლივი, შეუპოვარი დაცვა მოუხდებოდა ყაიმის მისაღწევად.

პარტიის დასკვნით ნაწილში ყველაფერი მოულოდნელად შეიცვალა. კარპოვმა ზედმეტად ოპტიმისტურად შეაფასა პოზიცია და შავების ფიგურები აშკარად „გამოცოცხლდნენ“. ახლა თეთრების ბანაკში შეიქმნა არაერთი სუსტი პუნქტი. კორჩნოიმ, რომელიც კონტრშეტევის ვირტუოზად ითვლება, მყისვე ისარგებლა ამ გარემოებით.

შავების 42-ე სვლის შემდეგ პარტია გადაიდო კორჩნოის უპირატესობით.

მატჩის მესამე პარტია

კორჩნოი — კარპოვი

ინგლისური დასაწყისი

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 b6 4. e4 კb7 5. ლe2 კb4 6. e5 მg8 7. d4 მe7 8. კd2 0-0 9. 0-0-0 d5 10. h4 კ:c3 11. კ:c3 dc 12. ლ:c4 კa6 13. ლa4 კ:f1 14. ეh:f1 ლd5 15. [illegible] მa6 18. ლe4 ეfd8 19. ლ:d5 ე:d5 20. ეd2 ეad8 21. ეed1 h5 22. მეc2 მf5 23. g3 f6 24. ef gf 25. მg1 მe7 26. მe2 მg6 27. ეd3 მb4+ 28. კ:b4 ab 29. a3 ba 30. ე:a3 ე8d7 31. ეe1 მეf7 32. ეd3 ეf5 33. f3 c5 34. f4 მe7 35. dc ე:c5+ 36. მc3 ეdc7 37. მეd2 მf5 38. ეa1 ეc4 39. ეa6 b5 40. b3 ეb4 41. მe2 მეe7 42. ეa8 ეd7 43. ე:d7+ მე:d7 44. ეh8. აქ პარტია გადაიდო.

44... ე:b3 45. ე:h5 მ:g3 46. მ:g3 ე:g3 47. ე:b5 f5 48. მეe2 ეg4 49. მეf3 ე:h4 50. ეb6 ეh1 51. ეa6 ეc1 52. მეg3 ეc4 53. მეf3 ეc3+ 54. მეf2 ეc6 55. ეa1 ეc4 56. მეf3 მეd6 57. ეe1 ეc3+ ყაიმი.

უკანასკნელ საათს

მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეოთხე პარტია ანატოლი კარპოვსა და ვიქტორ კორჩნოის შორის ორმოცდამეექვსე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

მატჩის ანგარიში უცვლელია — 1:0 კარპოვის სასარგებლოდ.

(საქტაგი).

ქალთა საკავშირო

დღეს თბილისში, ჭადრაკის სასახლეში იხსნება საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატი ქალთა შორის. მასში მონაწილეობს ყველა წამყვანი ოსტატი კოლუმბიაში მყოფ მსოფლიოს ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილის, მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ნ. ალექსანდრიასა და ი. ლევიტინას გარდა.

მონაწილეთა შორის არიან მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტები მ. შული (ლვოვი) და ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), შარშანდელი საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი), საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი მ. რანიკუ (ტალინი), მოსკოვის ჩემპიონი ე. რუბცოვა-ფათალიბეკოვა და სხვა ცნობილი საერთაშორისო ოსტატები.

გულშემატკივრები დიდი ინტერესით მოელიან თბილისელების: საერთაშორისო ოსტატ მ. ჩიბურდანიძის, საქართველოს ჩემპიონის, ოსტატ ც. კობაიძისა და ოსტატ თ. ხუგაშვილის თამაშს საკავშირო ჩემპიონატში. მათ აქამდე თითოჯერ უკვე ითამაშეს ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. თ. ხუგაშვილს, რომელმაც წელს პირველი ადგილი დაიკავა ტირასპოლის ნახევარფინალში, წვრთნის გროსმაისტერი ბ. გურგენიძე, ც. კობაიძეს (მან გაიმარჯვა ფრუნზეს ნახევარფინალში) — ოსტატი ა. ბუსლაევი, მ. ჩიბურდანიძეს — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. შიშოვი.

შეჯიბრება, რომლის მთავარი მსაჯია საერთაშორისო არბიტრი ო. ტომსონი (მოსკოვი), 26 ოქტომბრამდე გასტანს.

ფეხბურთი

ორი ქულა ნევისპირეთიდან

კვირას თბილისის „დინამოს“ მეტად პასუხსაგები მატჩი ჰქონდა ლენინგრადში „ზენიტთან“.

თამაშის პირველი ნახევარი შედარებით დაბალი ტემპით მიმდინარეობდა და არც ერთ კართან არ შექმნილა მწვავე მომენტები, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც ტრემბაჩმა თავური დარტყმით გაგზავნა ბურთი დინამოელთა კარში, მაგრამ გოგიამ ჩინებულად მოიგერია იგი კუთხურზე.

მეორე ტაიმის დასაწყისში გუცაევმა კარგად ისარგებლა მცველების შეცდომით და ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი სტრეპეტოვმა შორი მანძილიდან დარტყმით აღადგინა წონასწორობა — 1:1.

თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე მასპინძელთა საჯარიმოში წააქციეს გუცაევი და... ჭელიძემ უნაკლოდ გამოიყენა პენალტი — 2:1. თბილისის „დინამომ“ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა.

თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: გოგია, ძოძუაშვილი (მჭედლიშვილი), ხურცილავა, ჭელიძე, ებრალიძე, გავაშელი, გ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, მ. მაჩაიძე, ესებუა.

სათადარიგო შემადგენლობათა ასპარეზობა მოიგეს ლენინგრადელებმა — 3:2 (0:2). თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ჩხაიძემ და ქანთარიამ.

კიდევ 6 მატჩი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ექვსი შეხვედრა გაიმართა კვირას ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე.

ერთნაირი ანგარიშით 1:1 ითამაშეს კიევის „დინამომ“ და ლვოვის „კარპატმა“, ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ და ტაშკენტის „პახტაკორმა“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა“ და ოდესის „ჩერნომორეცმა“.

მოსკოვის „დინამო“ ერევნის „არარატთან“ დამარცხდა — 2:3.

დიდი ანგარიში იყო ფიქსირებული დონეცკში, სადაც „შახტიორმა“ 5:2 მოუგო ალმა-ათის „კაირატს“.

მოსკოვის „სპარტაკმა“ კიშინიოვში წააგო „ნისტრუსთან“ — 0:1.

„ჭადრაკი,“ ახალი ნომერი

ახლახან გამომცემლობა „განათლებამ“ ჭადრაკის მოყვარულებს ალმანახის მორიგი ნომერი შესთავაზა. ახალი „ჭადრაკი“, რომელიც ამჟამად მეთოდური ბიულეტენის სახით აგრძელებს გამოსვლას, შესანიშნავი საჩუქარია ჩვენი რესპუბლიკის ჭადრაკის ყველა გულშემატკივრისათვის.

ჭადრაკის სასახლის გახსნის ზეიმი თბილისში, საერთაშორისო ტურნირები საბჭოთა კავშირსა და ბრაზილიაში, საკავშირო და საქართველოს ჩემპიონატები, სსრკ-იუგოსლავიის მატჩი, საბჭოთა კავშირის სამი ნაკრების მატჩ-ტურნირი, თბილისის VII ქალთა საერთაშორისო ტურნირი და სხვ, იმ ღირსშესანიშნავ საჭადრაკო მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც სათანადო ასახვა ჰპოვეს ა. ბუსლაევის, გ. გამრეკელის, თ. გიორგაძის, ე. გუფელდის, მ. შიშოვის და სხვა ავტორთა სტატიებში. ფართო საჭადრაკო ინფორმაციის შემცველელია აგრეთვე სპეციალური რუბრიკები: „ყოველი მხრიდან“ და „ ჩვენს რესპუბლიკაში“.

ახალი ნომერი საყურადღებოა მრავალფეროვანი შინაარსით

ქართული ჭადრაკის ისტორია საუკუნოდ ინახავს ღვაწლმოსილი ადამიანების სახელს. „პირველი ქართველი ოსტატი“ — ასე ეწოდება თ. გიორგაძის წერილს ვიქტორ გოგლიძეზე, რომლის ათი რჩეული პარტია იქვეა მოყვანილი. ცნობილი მოჭადრაკის, ოსტატ ალექსანდრე ბლაგიძის დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა. ბიულეტენი გულთბილად ულოცავს იუბილარს ამ თარიღს. კომპოზიციის განყოფილება (ხელმძღვანელი ვ. ნეიძე) აშუქებს საბჭოთა კავშირის X პირადი პირველობის შედეგებს, მოგვითხრობს ქართველი ეტიუდისტების წარმატებებზე. საყურადღებოა ნიჭიერი ახალგაზრდა საჭადრაკო კომპოზიტორის დ. გურგენიძის სტატია, რომელიც კოლექტიური ნაწარმოებების შედგენის საკითხებს ეხება. ფართოდ არის წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის ავტორთა ორიგინალური შემოქმედების ნიმუშები.

ჩოგბურთი

ფინალში მასპინძლებია

ინდოეთის ჩოგბურთელები დელიში ანგარიშით 3:1 აჯობეს სსრ კავშირის ნაკრებს და უკვე მოიპოვეს უფლება მონაწილეობა მიიღონ დევისის თასის გათამაშების ფინალში.

პირველი დღის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო — 1:1. მაგრამ შემდეგ ძმებმა ვიჯაი და ანანდ ამრიტრაჯებმა წყვილთა შეხვედრაში დაამარცხეს თბილისელი ალექსანდრე მეტრეველი და მოსკოველი ვლადიმერ კოროტკოვი — 13:15, 7:5, 19:17, 6:3, ხოლო ერთეულთა თანრიგში ანანდ ამრიტრაჯმა სძლია თეიმურაზ კაკულიას — 6:2, 8:10, 4:6, 6:3, 6:3.

ამრიგად, მეტრეველისა და ვიჯაი ამრიტრაჯის ორთაბრძოლის (იგი დაუმთავრებელი დარჩა ოთხი პარტიის ჩატარების შემდეგ — 2:6, 6:4, 6:2, 1:6) შედეგს უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს გამარჯვებულის გამოვლინებისათვის.

სპორტი

ქულათა მაქსიმუმი

მედელინში (კოლუმბია) დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადის პირველი ნაწილი — ბრძოლა შესარჩევ ჯგუფებში.

საბჭოთა ნაკრები, რომელიც პირველ შესარჩევ ჯგუფში გამოდიოდა, შეხვდა 4 გუნდს და ოთხივე დაამარცხა ერთნაირი ანგარიშით 2:0. ამრიგად, საბჭოთა მოჭადრაკეებმა ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს — 8 პარტიიდან 8 ქულა. ნახევარფინალურ შეხვედრებში მონაწილეობდა სამივე საბჭოთა მოჭადრაკე — როგორც მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ისე მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტები ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა.

ახლა იწყება ასპარეზობის ყველაზე საინტერესო ნაწილი — ფინალი 10 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით. საბჭოთა ნაკრებს უხდება ბრძოლა ძლიერ მეტოქეებთან — იუგოსლავიის, უნგრეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის გუნდებთან. ფინალი 4 ოქტომბრამდე გასტანს.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, საგზაო პროფკავშირის კომიტეტი, საექიმო სანიტარული სამსახური და თბილისის რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს ადმინისტრაცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გზის მთავარი თერაპევტი, საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, საპატიო რკინიგზელი

აქვსენტი (ასიკო) გიორგის-ძე ცაგარელი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

წიგნები და მკითხველები

კარგი საჩუქარი

„დედაენის“ ახალი გამოცემის გამო

1944 წლიდან მიმდინარე სასწავლო წლამდე პატარები სარგებლობდნენ მხცოვანი პედაგოგების — ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის „დედაენით“, რომელიც შედგენილი იყო ი. გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით. დასახელებულ ავტორთა საანბანო წიგნი ბევრი ღირსებით ხასიათდებოდა, მაგრამ სწავლების მიმართ წაყენებულმა ახალმა გაზრდილმა მოთხოვნებმა აუცილებელი გახადა „დედაენის“ კიდევ უფრო გაუმჯობესება, და, აი, მოსამზადებელი კლასების მოსწავლეებმა უკვე მიიღეს შესანიშნავი საჩუქარი — პროფ. ვ. რამიშვილის მიერ შედგენილი „დედაენა“.

ვ. რამიშვილის „დედაენის“ საყრდენი კვლავ ი. გოგებაშვილის „დედაენაა“ — წერა-კითხვის სწავლების ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდი და იგივე პრინციპებია გამოყენებული მასში, რასაც „დედაენის“ შექმნისას ჩვენი სულმნათი წინაპარი იყენებდა.

საკმარისია ამ მიზნით ჩვენი ყურადღება ოდნავ შევაჩეროთ წიგნის პირველივე ორი სურათის სიუჟეტზე: პირველი — პატარა გოგონა „დედაენითურთ“ თოჯინებს შორის, და, მეორე, სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა ჯგუფების მოსვლა სკოლის ეზოში, სადაც მათ ღიმილით ხვდებიან მასწავლებლები. ვფიქრობთ, ამ ორი სხვადასხვა სიუჟეტის სურათის ქვეტექსტი უაღრესად სიმპტომატურია; კერძოდ, წიგნის ავტორი მკითხველთა ყურადღებას თავდაპირველადვე სპეციალურად ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსამზადებელი კლასის მოსწავლეთა ცოდნის შეძენა ახალ გარემოში, სკოლაში, დაკავშირებულია არა მშრალ ინტელექტუალურ წვრთნასთან, არამედ აღსაზრდელთა სპეციფიკურ ცხოვრებისეულ ინტერესებთან — თამაშთან, რაც „ერთადერთი სინამდვილეა, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს და ერთ-ერთი ძირითადი პრაქტიკის ფორმა, რომლის ნიადაგზედ მისი განვითარება მიმდინარეობს“ (დ. უზნაძე). „დედაენის“ შემდგენლის პროფ. ვ. რამიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სახელმძღვანელოს თავიდან ბოლომდე სწორედ ეს მეცნიერული მოთხოვნა უდევს საფუძვლად.

განვიხილოთ ეს საკითხი ქვემოთ უფრო დაწვრილებით:

როგორც ცნობილია, სწავლებაში შეგნებულობის დანერგვისა და ცნებითი, ლოგიკური აზროვნების განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სწორედ თვალსაჩინოების დიდაქტიკური პრინციპია; საანალიზო წიგნის უპრალოდ დათვალიერებაც კი ნათელს ხდის რაოდენ დიდი მნიშვნელობა მიუნიჭებია მის ავტორს თვალსაჩინოებისათვის: მარტო წინასაანბანო პერიოდისათვის 27 სურათია წარმოდგენილი. ყოველი მათგანი ბავშვებისათვის ადვილად გასაგები და ნაცნობი სიუჟეტების ამსახველია: საანბანო პერიოდში ყოველი ასო-ბგერა მოსწავლეებს ეცნობა მათთვის მახლობელი საგნის სურათითა და სახელით; საანბანო და ანბანის შემდგომი პერიოდისათვის გათვალისწინებულ ყოველ საკითხავ მასალას აგრეთვე სურათი ახლავს, რომელიც საკითხავი მასალის თვალსაჩინოებად არის გათვალისწინებული. წარმოდგენილია სასაუბრო და ასაწერი სურათებიც. ასე რომ სახელმძღვანელოს 156 გვერდზე 170-მდე განსხვავებული შინაარსის და მიზანდასახულობის სურათია მოცემული. ისინი საკმაოდ ნაირფეროვან ფერებშია შესრულებული. მხატვრებს: ი. ქლიბაძეს, რ. ცუცქირიძესა და ს. ცინცაძეს უეჭველად გულისხმიერად და მონდომებით უმუშავნიათ.

ასო-ბგერათა სწავლების რიგით დადგენისას ი. გოგებაშვილი ანგარიშს უწევდა გენეტიკურ, ფონეტიკურსა და სემანტიკურ პრინციპებს. პროფ. ვ. რამიშვილმა ენათმეცნიერების ამ დარგების დღევანდელ მიღწევათა გათვალისწინებით ეს პრინციპები თავის „დედაენაში“ უფრო ფართოდ და სრულად წარმოადგინა. ამის გამო მან ასო-ბგერათა მიწოდების ი. გოგებაშვილისეული რიგი (მხედველობაში გვაქვს „დედაენის“ 1912 წლის გამოცემა) შეცვალა 15 შემთხვევაში, ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძისეული რიგი კი 14 შემთხვევაში (შესადარებლად ავიღეთ ნ. ბოცვაძისა და ეკ. ბურჯანაძის „დედაენის“ 1972 წლის გამოცემა) კიდევ უფრო მეტი ცვლილება განიცადა ნორმალურმა სიტყვამ...

„დედაენის“ ცნობილი ავტორები ადრე შესწავლილი ასო-ბგერების ხშირ გამეორებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. გამეორების როლი სავსებით სამართლიანად აქვს შეფასებული პროფ. ვ. რამიშვილსაც. იგი არც ერთ ადრე შესწავლილ ასო-ბგერას არ ტოვებს ჯეროვანი ყურადღების გარეშე ახალი ასო-ბგერის შესასწავლად გათვალისწინებულ ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ მასალაში და სიუჟეტური ხასიათის საკითხავ ტექსტში.

ადრე, მოსამზადებელი კლასების მასწავლებლები არ იყვნენ გარკვეულნი, რამდენი გაკვეთილი დაეთმოთ ცალკეული ასო-ბგერის სწავლებისათვის, როდის დაეწყოთ წერა, რამდენ გაკვეთილზე და, სახელდობრ, რა მასალა ეწერათ ვ. რამიშვილის მითითებით („მოსამზადებელი კლასის „დედაენის“ აგებულება და გამოყენება“, დაიბეჭდა გაზ. „სახალხო განათლების“ 1973 წლის 21 აგვისტოს ნომერში) და მისივე „დედაენით“ ნათელი მოეფინა ამ საორჭოფო საკითხებს.

საანბანო და ანბანის შემდგომი პერიოდისათვის წარმოდგენილი საკითხავი ტექსტები დიდი დაკვირვებით არის შერჩეული. ვხვდებით ლექსებს, მოთხრობებს, იგავ-არაკებს, ზღაპრებს.

ზოგ საკითხავ მასალასთან მოცემულია ანდაზა, გამოცანა, რებუსი. მათი შინაარსი გამომდინარეობს საკითხავი მასალიდან და ძლიერ უწყობს ხელს მოსწავლეთა აქტივიზაციას, მიხვედრილობის უნარისა და ლოგიკური აზროვნების განვითარებას... აქა-იქ გვხვდება, აგრეთვე, ენის გასატეხი სიტყვებიც.

პროფესორ ვ. რამიშვილის „დედაენის“ გაცნობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ის დიდად შეუწყობს ხელს მოსამზადებელ კლასში წერა-კითხვის შეუფერხებლად და მაღალ დონეზე სწავლებას, მოსწავლეთა მეტყველებისა და აზროვნების ბუნებრივი გზით განვითარებას.

ორიოდე შენიშვნა აღნიშნული სახელმძღვანელოს გარშემო:

წინასაანბანო პერიოდისათვის გათვალისწინებულ ხელისგასავარჯიშებელი მასალა სასურველია შეივსოს სახატავ-სახაზავი ნიმუშებით; კარგი იქნება, თუ „დედაენის“ შემდგომ გამოცემაში ავტორი საწერ ნიმუშებს სიმკვეთრისათვის განსხვავებული (ვთქვათ, წითელი) ფერით წარმოადგენს.

ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება სახელმძღვანელოში მოსამზადებელი კლასის მოსწავლეთა გონების შესაბამისი გამოცანებისა და რებუსების გამრავლება.

1900 წელს „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი წერდა: „როგორც გემრიელად მომზადებული საჭმელი უხსნის გემოს მადადაკარგულ ადამიანს, ისე კარგად შეზავებულ სახელმძღვანელოს მოჰყავს ყმაწვილი „დედაენის“ შესწავლის ხალისზედ“. ჩვენც ხატოვნად რომ ვთქვათ, პროფესორმა ვ. რამიშვილმა პატარების პირველ წიგნს მეთოდურად და პედაგოგიურად გონივრულად მოფიქრებული და შერჩეული საჭირო სანელებელი მიუმატა და ამით მისი ღირსება კიდევ უფრო აამაღლა.

შ. ქურდაძე,
პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რ. ლიპარტელიანი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ლ. ხადური,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ნ. სესიაშვილი,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ნორჩი გამომგონებელი

უკვე მეთორმეტეჯერ მოეწყო ჩვენს რესპუბლიკაში ნორჩ მხაზველთა კონკურსი. ნორჩმა მხაზველებმა მეთორმეტეჯერ სცადეს თავიანთი ძალა ეჩვენებინათ საინჟინრო გრაფიკის ღრმად შესწავლის საქმეში.

ეს მეტად სასარგებლო ღონისძიება ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ტრანსპორტის კაბინეტის გამგემ რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ქეთევან გიორგაძემ ჯერ კიდევ 1956 წლის სექტემბერში წამოიწყო.

ამ წამოწყებას იმთავითვე მხარი დაუჭირეს მეცნიერებმა, პედაგოგებმა. გაიშალა ფართო შემოქმედებითი მუშაობა. იმართებოდა ნორჩ მხაზველთა ჯერ საქალაქო, შემდეგ კი რესპუბლიკური კონკურსები, იზრდებოდა კონკურსის მონაწილეთა რიცხვი, მაღლდებოდა საგამოფენოდ წარმოდგენილი ნახაზების ხარისხი.

გამოვლინდნენ ნორჩი ტალანტები. თუ პირველ საქალაქო კონკურსში 9 სკოლიდან 200 მოსწავლე იღებდა მონაწილეობას, მე-12 რესპუბლიკურ კონკურსში ერთმანეთს ეჯიბრებოდა საქართველოს 67 ქალაქის და რაიონის 635 სკოლის 7.570 მოსწავლე, რომლებმაც საგამოფენოდ წარმოადგინეს 20500 ნახაზი, 4.890 მოდელი.

გამოვლინდნენ ნორჩი გამომგონებლებიც. და აი დღეს გვინდა მოგითხროთ ერთ მათგანზე, თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის მოსწავლეზე თემურ ენდელაძეზე. აი რა გვიამბო მასზე ქეთევან გიორგაძემ.

— თემური ჩვენს სასახლეში ჯერ კიდევ 1969 წლის სექტემბერში მოვიდა და სურვილი გამოთქვა ჩაწერილიყო ხაზვის წრეში. მას პირველად უარი ვუთხარით, რადგან ბავშვი მეხუთე კლასელი იყო, ხაზვის წრეში კი მხოლოდ VII კლასის მოსწავლეებს ვიღებდით. მაგრამ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო გრაფიკის კათედრის გამგემ დოცენტმა ს. ბურჭულაძემ თემურს ნება დართო ჩაწერილიყო ხაზვის კაბინეტში, მასწავლებლად დაენიშნა ბ. კაჭარავა.

თემური ისე დაინტერესდა ხაზვით, რომ იანვრამდე აითვისა დეტალის გამოხაზვის წესები, შეისწავლა ტექნიკური დეტალის ხედებში და აქსინომეტრიში გამოხაზვა. და უკვე VIII რესპუბლიკურ კონკურსში გამოიჩინა თავი. მან დასძლია VIII კლასის პროგრამა, დასკვნით ტურზე ამოცანის ამოხსნაში დააგროვა 14 ქულა. რისთვისაც იგი დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომით და არტეკის საგზურით. ასეთმა შეფასებამ მოსწავლე უფრო გაახალისა, გაუძლიერა საგნისადმი სიყვარული და IX რესპუბლიკურ კონკურსზე უკვე VI-კლასელმა დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო — გ. ნიკოლაძის სახელობის პრიზი. მომდევნო კონკურსზე მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრიზი, XI რესპუბლიკურ კონკურსზე — I ხარისხის დიპლომი.

XII კონკურსში კი თემურმა შემოქმედებითი ნახაზი წარმოადგინა — ავტომანქანის საბურავის ახალი სახის ტექნიკური აღწერილობა. ამ სიახლის გამოყენებით მანქანას საშუალება ეძლევა იაროს რთულ გზებზე, ყინულზე და ჭაობიან ადგილებში.

ეს ნახაზი სასახლის ხაზვის კაბინეტმა წარადგინა საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკურ საბჭოში. აი რა არის ნათქვამი რესპუბლიკური საბჭოს ექსპერტის დასკვნაში:

სსრ კავშირის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოში წარმოდგენილი იყო IX კლასის მოსწავლის თ. ენდელაძის რამდენიმე ნამუშევარი, მათ შორის „სატრანსპორტო საშუალებათა სალტე“. ეს მოწყობილობა შესაძლებლობას იძლევა შემოქმედებითად გადაიჭრას ძნელ საგზაო და კლიმატურ პირობებში ავტომანქანის მოძრაობის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი.

საკითხი ორიგინალურად არის გადაწყვეტილი, რესპუბლიკური საბჭოს მიერ კვალიფიცირებულია როგორც გამოგონება. შეიცავს სიახლის ელემენტებს, ეფექტურია, და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტში მიცემულია განაცხადი საავტორო უფლების გაცემაზე.

საქართველოს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა თემურ ენდელაძე დააჯილდოვა საპატიო სიგელით. ამ შრომისათვის თემურმა მეორე სიგელიც მიიღო, ამჯერად იაკუტიიდან. აღსანიშნავია, რომ სასახლის ხაზვის კაბინეტს მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული იაკუტიის ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ სახლთან.

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურმა სასახლემ თ. ენდელაძე პოლონეთის საგზურით დააჯილდოვა. თემურმა ამ ზაფხულს იმოგზაურა მოძმე პოლონეთის რესპუბლიკაში და დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა.

ამჟამად თემური მეათე კლასის მოსწავლეა. წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ნორჩ გამომგონებელს.

ლ. ხუბულური.

საბავშვო ლიტერატურის შენაძენი

გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოუშვა არჩილ ჩაჩიბაიას წიგნი „ქართული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის საკითხები“ (რედაქტორები: თ. ბიქიშვილი, მ. ომიაძე, მ. მთვრალაშვილი).

ნაშრომი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი „სიტყვაკაზმული საბავშვო მწერლობის ისტორიული დანიშნულება“ (ოთხი თავი), მეორე ნაწილი — „ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის ძირითადი პრობლემები“ (ხუთი თავი) და მესამე ნაწილი — „თანამედროვე ქართული საბავშვო მწერლობის ძირითადი პრობლემები“ (ორი თავი).

წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ ნაშრომი წარმოადგენს ქართული კლასიკური და თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხის ისტორიულ ასპექტში განხილვის ცდას, მთელ რიგ საკითხთა ახლებურ ინტერპრეტაციას. ვფიქრობთ, იგი მოკრძალებული წვლილი იქნება ქართული საბავშვო ლიტერატურის წარმოშობისა და მისი განვითარების გზების მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

ა. ჩაჩიბაიას ამ წიგნის გამოცემით გამომცემლობა „ნაკადულმა“ კარგი საქმე გააკეთა.

ტელევიზია

24 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — კინოპროგრამა, 11.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „შანტაჟი“ (I სერია), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქართულ ენაში, 17.30 — კინონარკვევი, 17.40 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის— მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.00 — „პროპაგანდისტის დასახმარებლად“, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — „გმირობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — სპორტული მიმოხილვა, 20.25 — „საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შესახვედრად“, 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ქართული სიმღერის მოამაგე“ — სანდრო კავსაძე, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მხატვრული ფილმი „თავაზიანობის ვიზიტი“ (II სერია), დასასრულს — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — გადაცემა „გამოჩენილ მწერალთა ნახატები“, 18.35 — კინოპროგრამა, 19.00 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია თეორიულ მექანიკაში, 19.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.00 — მხატვრული ფილმი „ყოველ საღამოს მუშაობის შემდეგ“.

[illegible]

თეატრები

24 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — თვალი პატიოსანი; რუსთავის დრამატული (რკინიგზელთა სახლში) — მეფე ლირი.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99 93-03, 99 03 09. პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნის — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 შ. 14137

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14